# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 12 სექტემბერი 1996 №92 (317) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მოვიგეთ!

## ტორპედო (მოსკოვი) — დინამო 0:1

### „დინამომ“ „ტორპედო“ ნაკუწებად აქცია...

ეს ჩვენი რუსი კოლეგების აზრია,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი მოსკოვიდან კი იხილეთ მეორე გვერდზე

## გვინდა ბევრი გავიტანოთ

### თქვა გუშინ ბათუმში ლუკ ნილისმა

**ილია ბაბუნაშვილი**
**მერაბ მამულაშვილი**
**ბათუმიდან**

ეინდჰოვენიდან ბათუმამდე ჰაერით 4 საათის გზა ყოფილა. ეს ის დროა, ჰოლანდიისა და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, მის თანმხლებ 22 ჟურნალისტს და ერთ გულშემატკივარს თასების თასის მატჩზე ჩამოსასვლელად რომ დასჭირდათ. დიკ ადვოკაატი და მისი ვარსკვლავებით მოჭედილი გუნდი, სრული, საუკეთესო შემადგენლობით, აჭარის დედაქალაქში სამშაბათ საღამოს დაეშვა. მოთამაშეები სასტუმრო „სპუტნიკში“ დააბინავეს, ჟურნალისტები — „ინტურისტში“. უკაცრავად, გამოგვრჩა, სტუმრებს მზარეულიც ახლავთ, თავისი ჰოლანდიური ხორაგით.

მომხდურთ გუშინ ბათუმის სტადიონზე ორჯერ ივარჯიშეს, დილით 11 საათზე და საღამოს რვის ნახევარზე შუალედში, ექვსის ნახევარზე კი თავიანთთან, „სპუტნიკში“ პრეს-კონფერენცია გამართეს. პრეს-კონფერენცია ეინდჰოვენურად ასეთია: ზის მთელი გუნდი და ნამცხვრითა და წვენით იქცევს თავს, ჟურნალისტი კი სასურველ რესპონდენტთან მიდის და ესაუბრება. ამიტომაც იყო, დილის ვარჯიშის შემდეგ ადვოკაატმა ზუზეულ ინტერვიუზე თავი რომ შეიკავა — თუ არ შეწუხდებით, საღამოს გვეწვიეთ და იქ ვისაუბროთო.

მანამდე კი ჰოლანდიელი კოლეგებისგან შევიტყვეთ, რომ კენჭისყრით „ბათუმის“ შეხვედრა მეტოქეს გაპხარებია, არც შორეულ გზას შეუშინებია და არც საქართველოს ჯერ კიდევ თავისებურ რეპუტაციას. აქაური პირობები თუ გაკმაყოფილებთო, რომ ვკითხეთ, აუგი არაფერზე უთქვამთ. ეგ იყო, ერთმა დაიწუწუნა, მოედანზე ბალახი ოდნავ მაღალი მეჩვენებაო, მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, ეს ჟურნალისტზე მეტად მოთამაშეთა საწუხარია, მათ კი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. კოლეგებმა პატივი დაგვდეს და PSV-ს დღევანდელი, სავარაუდო შემადგენლობაც ჩამოგვიწერეს. ის, ჰოლანდიურ გაზეთებში რომ სწერია: რონალდ ვატერეუსი, კრის ვან დერ ვეერდენი, ერნესტ ფაბერი, სტან ვალქსი, არტურ ნუმანი, ვიმ იონკი, მარსიანო ფინკი, მარკ დეგრიზი, ფილიპ კოკუ, ლუკ ნილისი, რენე ეიკელკამპი. ისიც გვითხრეს, მარსელოს, 23 წლის ბრაზილიელს, წინა შეხვედრაში რაღაც შეშლია და სასტარტოში არ ათამაშებენო.

—ახლა „სპუტნიკში“ ავიდეთ და პრესკონფერენციას დავესწროთ. თავიდან გასული სეზონის ჰოლანდიისა და ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელს ლუკ ნილისს ვესაუბრეთ.

**— ლუკ, თვლით, რომ „ეინდჰოვენი“ თქვენი კარიერის საუკეთესო გუნდია?**

— ალბათ. მართლაც, PSV კარგი გუნდია. აქ სასიამოვნო ატმოსფერო და ისეთი პირობებია, რომ თავს ყოველმხრივ კარგად ვგრძნობ.

**— აქ უკეთ გრძნობთ თავს, ვიდრე ბელგიის ნაკრებში?**

— არა, ვინ გითხრათ. ბელგიას ახლა ჩინებული ნაკრები ჰყავს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი თამაში მოვიგეთ და წინაც სერიოზულად ვიყურებით.

**— კი მაგრამ, რადა „ეინდჰოვენი“ არჩიეთ, ნუთუ იტალიაში ან ესპანეთში თამაშს მოერიდეთ?**

— ჰოლანდიური ფეხბურთი მომწონს — ლიაა, შემტევი. თანაც ორი წლის წინ, კონტრაქტს ხელს რომ ვაწერდი, ვნახე კარგი სტადიონი, კარგი ხალხი. და მეტი რა მინდოდა? შარშან საუცხოო სეზონიც ჩავატარე. რაც შეეხება იტალიურ ან ესპანურ გუნდში გადასვლას, ამაზე არც მიფიქრია. ჩემი საქმით ვარ დაკავებული.

**— „ბათუმთან“ კი, ცხადია, გოლის გატანას აპირებთ.**

— იმედი მაქვს. ისე, პირველი თამაშია და სიფრთხილე გვმართებს. ვიდეოზე ვნახე ბათუმელთა შარშანდელი თამაში „სელტიკთან“. კარგი გუნდის შთაბეჭდილება დასტოვა. ეპიზოდურად ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, რომ აშკარაა, ფხიზლად ყოფნა გვმართებს. ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადოთ. გვინდა ბევრი გავიტანოთ. შეძლებისდაგვარად, ცხადია.

**— PSV-ს ევროპული მასშტაბით რა დონის გუნდად თვლით?**

— ვფიქრობ, თანდათან უძლიერესთა შორის ვმკვიდრდებით.

**— უეჭველად უმიზნებთ ჰოლანდიის ჩემპიონობას?**

— გვინდა. ვგონებ, შეგვიძლია კიდეც. უკვე ხუთიდან ხუთი ხომ მოვიგეთ.

**— თასების თასი?**

— იღბალიცაა საჭირო. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გავიაროთ. შარშან „ბარსელონასთან“ სულელურად წავაგეთ, წელს ამას აღარ გავიმეორებთ...

ვიმ იონკი, ნახევარმცველი

**— „ბათუმის“ თამაში ნანახი გაქვნებათ...**

— კარგი, შემტევი გუნდია.

**— პროგნოზი?**

— კაცმა არასდროს იცის, რა ანგარიშით დამთავრდება თამაში. ისე, თუ მობილიზება შევძელით, კარგ შედეგს მივაღწევთ.

**— თასების თასს აიღებთ?**

— არ ვიცი. შეჯიბრებაში ბევრი ძლიერი გუნდი მონაწილეობს.

**— თქვენი და ჰოლანდიის ნაკრების ურთიერთობაზე რას გვეტყვით?**

— იმედი მაქვს, ისევ გავხდები ნაკრების უცვლელი წევრი.

**— ნაკრები და PSV შეადარეთ.**

— სხვადასხვა ხალხია, სხვადასხვა სისტემა. ნაკრებში ამჟამად ახალი სისტემით ვთამაშობთ. ვფიქრობთ, ძლიერები ვართ და საფრანგეთის საგზურს მოვიპოვებთ.

დიკ ადვოკაატი,
„ეინდჰოვენის“ მწვრთნელი

**— რას იტყვით „ბათუმზე“?**

— „სელტიკს“ გამოვართვი შარშანდელი თამაშის ვიდეოკასეტა, თან ჩემი თანაშემწეც მოვავლინე ბათუმში და მან ყველაფერი საკუთარი თვალით იხილა. ტექნიკური გუნდი გყავთ.

**— ტაქტიკა?**

— ჩვენ სხვა სტილით ვთამაშობთ. ორივე გუნდის სქემა 4-4-2-ია, მაგრამ „ბათუმს“ ლიბერო ჰყავს, ჩვენ კი ჯაჭვურად ვთამაშობთ.

**— ჩვენ ვნახეთ თქვენი მატჩი „გრონინგენთან“...**

— ჰო, ეგ შეხვედრა ცუდად ჩავატარეთ...

**— ცუდად? 4:1 არ მოიგეთ?**

— მწვრთნელის და სხვათა აზრი ერთმანეთს იშვიათად ემთხვევა. მე ვთვლი, რომ იმ დღეს „გრონინგენთან“ ბევრი მომენტი გავაცუდეთ. აი, ბოლო მატჩი იყო კარგი.

**— ვგონებთ, ახლა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გყავთ.**

— ჯერ ვიზრდებით. ინგლისელები, ესპანელები, გერმანელები ბევრ ფულს ხარჯავენ მოთამაშეთა საყიდლად, ჩვენ კი ორაოდე ორი ფეხბურთელი დავიმატეთ. ჩვენთვის სასიკეთო ისაა, რომ ახალგაზრდები გვყავს და თუ გაისად 2-3 მოთამაშეც დავიმატეთ, უფრო გავძლიერდებით.

**— თასების თასის მოპოვებას აპირებთ?**

— უჰ! „ლივერპული“, „ბარსელონა“... ისე, გვინდა...

# ნაცნობი უცნობები

**ტორპედო 0:1 დინამო**

10 სექტემბერი. მოსკოვი.
სტადიონი „ტორპედო".

1 პჩელნიკოვი
2 ვოსტროსაბლინი
5 კორნაუხოვი 7 სმერტინი
3 მახმუტოვი
4 ლეონჩენკო
11 აგაშკოვი 6 ნიკოლაევი 9 კამნევი
10 ავაქოვი 8 კამოლცევი

11 იაშვილი 10 ხომერიკი
9 კობიაშვილი
8 ჯამარაული
7 კიკნაძე
6 ჩხაიძე 4 კუდინოვი
3 ლობჟანიძე 2 კალაძე
5 მაჭავარიანი
1 ზოიძე

შეცვლა: ნიკოლაევი — ბურჩენკოვი (46), სმერტინი — საველევი (51), აგაშკოვი — პროკოპენკო (65), ხომერიკი — ჯელაძე (70), ჯამარაული — ინალიშვილი (85), იაშვილი — დემეტრაძე (82)
0:1 ჯამარაული (37)
გაფრთხილება: კალაძე, ჩხაიძე, ჯამარაული, კამოლცევი, ჯელაძე
მსაჯი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

ვახტანგ
გზირაძე

მოსკოვიდან



## მოსკოვში ინკოგნიტოდ

ამ მატჩს აკრძალულ თემად ქცეული „პოლიტიკური ფსიქოზი" რუსთა მხრიდან მაინც უძლვოდა — აბა, ვნახოთ, რუსეთის საშუალო გუნდი ქართველთა საუკეთესოს როგორ გაუსწორდებაო. ზოგმა ისე შეტოპა, „დინამო" სათანადოდ არ შეაფასა და პირველ მატჩში ამისთვის კიდევ დაისაჯნენ. ცსკა-ს მარცხი „ფეიენოორდთან" თავად რუსებსაც არ გაჰკვირვებიათ, უფრო გული დასწყდათ, მაგრამ „ტორპედოსი"... მოსკოვში, „დინამოსთან"?! ამას ჩვენც კი შიშნარევი ეჭვით ველოდით. შიშს დიდი თვალები აქვს და, პირადად მე ისინი მას მერე უფრო გამიფართოვდა, შეხვედრის წინა დღეს „ტორპედოს" სტადიონზე მისულს მოვარჯიშე „დინამოს" ნაცვლად სოფლის ნაურმალი გზასავით დატბორილი ცარიელი სტადიონი რომ დამხვდა. მოსკოვში ბოლო დღეებში ისე აცივებულიყო, ჩვენთან ბოლო სამი წლის ზამთარშიც რომ არ ყოფილა და, სხვისი არ ვიცი, მე კი საშემოდგომოდ გამოწყობილს მეგობარი რომ არ შემშველებოდა, შესაძლოა, ეს რეპორტაჟი ვერც წაგეკითხათ. სუსხმა „დინამოც" ისე დააფრთხო, რომ როგორც „ტორპედოს" პრეს-ატაშემ მითხრა, მხოლოდ წარმომადგენელი გამოუგზავნია სტადიონზე, დღეს არ ვივარჯიშებთო. ამიტომაც იყო, ჩემმა ვიზიტმა პრესცენტრის ხელმძღვანელი ძლიერ რომ გაახალისა, მოხარული ვარ, რომ გზედავ და წვიმის არ შეგშინებიაო. მის სიტყვებში უფრო ირონია და „დინამოსკენ" ირიბად მოქნეული წკეპლის შხუილი ისმოდა, ვიდრე კეთილი იუმორი. თუმცა, მაგათ ჯინაზე „დინამოს" ადგილსამყოფელი ვერც ტორპედოელებმა მიმასწავლეს და ვერც თბილისში გადმორეკვით გავარკვიე. თამაშის დღესღა გავიგე, საქართველოს საელჩოს უმასპინძლია მათთვის. მოკლედ, „დინამომ" „ტორპედო" გვარიან ინფორმაციულ ვაკუუმში მოახრჩო, რადგან „გორდასთან" მატჩის ვიდეოჩანაწერში მოსკოველებმა რაც დაინახეს, კარგად გამოჩნდა. „ბათუმთან" მატჩს კი არამარტო ისინი, ჩვენც ტყუილად ველოდით. მაგრამ ახლა, მგონი, ასე სჯობდა.

თამაშის შემდეგ მოსკოველთა მიერ გამოშვებულ მატჩის პროგრამას ვათვალიერებდი და ერთ-ერთი წერილის სათაური რომ ამოვიკითხე, ძლიერ მეცნაურა. მივხვდი, ეს იყო, რასაც ვეძებდი და ამ რეპორტაჟის სათაურიც სიტყვა-სიტყვით გადმოვთარგმნე, ორიგინალობა ნამდვილად უადგილო იქნებოდა. განა ასეც არ იყო? ვინ იცნობდა „დინამოს" იმ დღეს?

— გინახავთ ოდესმე ასე თავდაჯერებული, ასე სწრაფად, ძლიერად, მრავალფეროვნად, თუ საჭირო იყო, უხეშადაც მოთამაშე „დინამო"? გინახავთ იაშვილის ამდენი ქვევარდნა ან ჯამარაულის ამდენი საგოლე პასები, კობიაშვილის უბადლო დრიბლინგი ანაც ჩვენებურთა დაცვის მინიმალური შეცდომები და ასეთი თავგანწირული თამაში? გაგონილა?! „დინამოს" ამდენი საგოლე მომენტი „გრევენმახერთან" და „მოლდესთან" არ ჰქონია, მგონი. სხვა საქმეა, რამდენი გამოიყენეს, მაგრამ ამასაც ხომ შექმნა უნდოდა ისეთ წყალსა და წუნწუხში! რომელი ერთი უნდა გამოჰყო? ზოიძის საიმედო თამაში, კალაძისა და ლობჟანიძის ჩაჭრა-ჩართვები, კუდინოვის ასაკსშეუფერებელი გაძლება, მაჭავარიანის ჭკვიანური, ჩხაიძის აქტიური მოქმედებები და ამათი სარგებლიანობა? ეს ლამის მთელი შემადგენლობაა, დანარჩენებზეც შეიძლებოდა ორიოდ ტკბილი სიტყვის თქმა... მოკლედ, „დინამო" იმ დღეს თავის თავს არ ჰგავდა. „ტორპედოს" ტოლი ხომ არაფერში დაუდო და თითქმის არანაირი შანსი არ დაუტოვა, ფრეზე მაინც რომ ეფიქრა. თუ ზოიძის თავდაპირველ მღელვარებასა და მაჭავარიანის საკუთარ კარში ჩაჭრილ ბურთს არ ჩავთვლით, თბილისელთა მეკარემ ხარიხის ქვემოდან რომ გამოაძვრინა.

შედეგი სახეზეა. ნახევარი გზა გავლილია და თანაც ისეთი უპირატესობით, რომ საპასუხო თამაშის მერე „დინამო" უეჭველად გამარჯვებული უნდა დარჩეს. ახლა მოპოვებულს მხოლოდ ჩვენებური უგერგილობა თუ დაგვაკარგვინებს, თორემ „ტორპედომ" აქ რაღა უნდა დაგვაკლოს, როცა თბილისში გოგიჩაიშვილიც გვეყოლება? მადლობა ღმერთს, „დინამოს" ავისმომასწავლებელი გულდამშვიდება ვერ შევატყვე ამის იმედიც შეიძლება ვიქონიოთ.

### ა, ტაქტიკა

თამაშის პერიპეტიების აღწერას რომ შევუდგეთ, ეს შორს წაგვიყვანს და ამიტომ თავს ავარიდებ, მითუმეტეს, რომ შეხვედრის ხილვის საშუალება გქონდათ. მათგან მხოლოდ უმთავრესთ გამოვყოფთ, თუმცა მანამდე მაინც ზოგადად მოგახსენებთ თბილისელთა ტაქტიკაზე.

თამაშმა დაადასტურა, რომ დავით ყიფიანმა საუკეთესო ვარიანტი შეარჩია და შეხვედრის მიმდინარეობისას ვარირების საშუალებაც დაიტოვა. ამით ყიფიანმა სრულფასოვანი რევანში აიღო ვალენტინ ივანოვთან აზრთა ჭიდილში: 7 საკავშირო შეხვედრიდან ხომ ყიფიანის „დინამოს" ივანოვის „ტორპედოსთვის" მხოლოდ 3 ფრე დაეცინცლა, 4 კი წაგებული ჰქონდა.

„დინამომ" აშკარად ერთობ უცნაური განლაგებით ითამაშა. იგი უფრო 3-5-2-ს წააგავდა, მაგრამ მისი კლასიკური ვარიანტისგან მცირედ, თუმცა მაინც განსხვავდებოდა. ამაში შემადგენლობათა გაცნობა უკეთ დაგარწმუნებთ, მე კი იმას მოგახსენებთ, რაც აქედან სრულად არ ჩანს. „დინამო" 5 ნომინალური მცველით გამოვიდა, მაგრამ ამათგან ორი განაპირა შეტევისას ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა. ამათ საჭიროებისას უფრო მარცხნივ მოთამაშე კობიაშვილიც ეხმარებოდა, რომელმაც ამხელა სამუშაოს შესრულება ისეთი წარმატებით შეძლო, რომ გაუგებარი ალარავისთვის იქნება, რატომ აკეთებდა ყოველთვის ყიფიანი დიდ აქცენტს კობიაშვილზე. ზემოხსენებულმა ტაქტიკამ „დინამოს" იმის საშუალება მისცა, რომ თავი არათუ 5, არამედ 6 კაცით დაეცვა, ნახევარდაცვა კი ხუთამდე შეევსო. აქედან იყო ის სიკეთეც, სტუმრად თამაშში 2 თავდამსხმელის გამოყვანა რომ გაბედინა თბილისელთა მთავარ მწვრთნელს. მატჩის მიწურულს „ტორპედომ" თავდასხმა რომ გაასამა, ხომერიკის ნაცვლად ჯელაძე შემოვიდა და საველევთან ბრძოლაში მშვენივრად მომსაჯე სუნდელს ამ გათამაშებაში მეორე ყვითელი კი დასტყუა, მაგრამ რუსს ხიფათი არ შეაქმნევინა. ფეხნატკენი ჯამარაული ინალიშვილმა შეცვალა, დემეტრაძე კი იაშვილის ნაცვლად გამოვიდა. ნათელი იყო, ამ მომენტში დაცვის თუნდაც თავდასხმის ხარჯზე გაძლიერება სჯობდა შეტევაში თავქუდმოგლეჯილ გაქცევას. ამით „დინამოს" არაფერი წაუგია, სხვაგვარად კი რა იქნებოდა, ვინ იცის.

მართალია, ბევრნი დემეტრაძის დროულად გამოჩენასა და მისგან გატანილ გოლს ველოდით, მაგრამ იმ მომენტში, როცა „ტორპედო" თამაშში გარდატეხის შეტანას ცდილობდა, დემეს თუნდაც ნაგვიანევი გამოსვლა ურიგო არ იყო. მან მაინც მოასწრო რამდენიმე კარგი პასის გაკეთება და თამაშში აქტიურად ჩართვა. ასე რომ, ის მომენტები, რაც თბილისელებმა შექმნეს, მხოლოდ მოსკოველთა საჩუქარი სულაც არ იყო. ეს შრომისა და გააზრებული მოქმედების ნაყოფი გახლდათ. არაფერს ვიტყვი არაერთ გაუტანელ ბურთზე, არც ხომერიკის მიერ აცილებულზე, არც კობიაშვილის წაქცევისთვის დაუნიშნავ პენალტზე, არც პჩელნიკოვის მიერ აღებულებზე. მაგრამ ჯამარაულის მიერ შეზანზარებული ხარიხა რომ არ გავიხსენო, შეუძლებელია. I ტაიმის მიწურულს ხომერიკის შეტევა გოლით რომ ვერ დასრულდა, აქედან წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ გოჩამ წინ გამოსული მეკარე დაინახა და შორიდანვე ძლიერად დაურტყა: პჩელნიკოვი ხარიხამ იხსნა. ამ დარტყმის ექო ჯერაც ისმის და ვიდრე „ტორპედოს" საბოლოოდ არ მოვუღებთ ბოლოს და მას უფრო დიდი, სიხარულის ყიჟინა არ გადაფარავს, არ ჩაინთქმება.

ისე, მაყურებელთა ასეთი მხარდაჭერა გასვლით მატჩში არავინ დაიჩემოს. 8 ათასამდე ქომაგის ორ მესამედს ქართველები შეადგენდნენ და მათმა ქომაგობამ ფუჭად არ ჩაიარა. „დინამოსაც" დაეხმარა და შედეგმა თავადაც ისე გაახარა, 81 წელი გაგვახსენდაო, თქვეს.

### მწვრთნელები

პრეს-კონფერენციაზე, როგორც წესი, პირველი სიტყვა სტუმრისაა, მაგრამ იმ დღეს სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან ივანოვს შეაგვიანდა და მას შემდეგლა მოვიდა, ჟურნალისტებს ყიფიანის დაკითხვა დამთავრებული რომ ჰქონდათ. გულდაწყვეტილმა ისიც კი თქვა, დავით ყიფიანს მოგებაც ვერ მივულოცეო. სამაგიეროდ, „დინამოს" მწვრთნელს ჟურნალისტებმა მიულოცეს და მის მოსასმენადაც მოემზადნენ.

— ანგარიშს ნუ მივაქცევთ ყურადღებას. მეორე თამაში ჯერ წინაა. მე თავად არაერთხელ მითამაშია „ტორპედოს" წინააღმდეგ, დღეს კი ჩვენს ახალგაზრდებს მოუწიათ აქ თამაშმა. ვფიქრობ, სტადიონზე მოსული ხალხი გავახარეთ. ასეთი სახელოვანი კლუბის დამარცხება სტუმრად იოლი როდია. თანაც, ეს ბიჭებისთვისაა კარგი, მათ განწყობაზე უკეთ იმოქმედებს.

— მოგების რწმენა რომ არ მქონოდა, აქ არც ჩამოვიდოდი. რა თქმა უნდა, ეჭვიც მეპარებოდა, მაგრამ თუ მწვრთნელს წარმატების არ სჯერა, ეს ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს.

— მეტოქის ფეხბურთელთაგან ავაქოვს გამოვყოფ. სხვებიც მომეწონენ. ჩემი გუნდიდან ჯამარაულს აღვნიშნავ. იგი მართლაც წამყვანი ფეხბურთელია, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ არც დანარჩენებს დაუხარჯავთ ნაკლები ძალა გასამარჯვებლად.

— დღეს გულშემატკივართა მხარდაჭერაც ძლიერ დაგვეხმარა. ჩვენ არამარტო ქართველები გვქომაგობდნენ. ბევრი იყო მონატრებული ჩვენს ნახვას.

გავიდა თუ არა ყიფიანი დარბაზიდან, ვალენტინ ივანოვმაც მოიცალა ჩვენთვის.

— ვფიქრობ, თამაშით ორივე გუნდმა ასიამოვნა მაყურებელს. შეხვედრა დაძაბულ, სწრაფ ბრძოლაში წარიმართა. ძალიან მომეწონა „დინამო". სწრაფად თამაშობდა, ბურთის დამუშავება, დრიბლინგი კი არც არასდროს უჭირდა. „დინამოზე" შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიანი ხისტი ფეხბურთი ითამაშა.

— დღეს, საერთოდ, ევროპული ფეხბურთი სწორედ ძალისმიერი, ხისტი თამაშისკენ მიდის. ეს იმას ნიშნავს, რომ სათამაშო ინტელექტმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ევროპაში მხოლოდ ტექნიკურ და ჭკვიან მოთამაშეებს არაფერი ესაქმებათ. ხომ გახსოვთ, ბაჯო როგორ თამაშობდა. როგორც კი ფიზიკურად მოსუსტდა, დასვეს.

— თამაშის წინ მოთამაშეებს ვაფრთხილებდით: არც ფრანგები და არც ქართველები აქამდე უხეშად არ თამაშობდნენ, მაგრამ ახლა მათაც ისწავლეს, რა სჭირდება თანამედროვე ფეხბურთს-მეთქი. არ დამიჯერეს. ფიქრობდნენ, „დინამო" ფიზიკურად ძლიერი არ არისო და ამიტომ ნაღდ ბრძოლაში თავიდანვე არ ჩაებნენ. ხოლო როცა მიხვდნენ, რომ „დინამოს" სერიოზული მეტოქეობა ესაჭიროებოდა, ჩვენმა მატარებელმა ჩაიარა.

— საპასუხო თამაში სხვაგვარი იქნება. ტაქტიკაც შეიცვლება და შემადგენლობაც. გაფრთხილებები თბილისში ალბათ ჩვენ მეტი გვექნება. დღეს ვერაფრით გამოიჩინეს თავი ახალახან შემატებულმა სმერტინმა და ასაკოვანმა აგაშკოვმა. სჯობდა, დღეს 2-3 მოთამაშე საერთოდ არ გვყოლოდა. შეიძლება სხვებს უარესად ეთამაშათ, მაგრამ მაინც ფიზიკურად ძლიერთა გამოყვანა სჯობდა.

–აქ ივანოვმა შანსი არ გაუშვა და ერთ ჟურნალისტს გადაუკრა, აი, შენს ნაქებ პანფიოროვსაც რომ ეთამაშა, უარესი იქნებოდაო. ამის შემდეგ ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტმა მწვრთნელს გაახსენა: „ჰაიდუკის" თავკაცმა ბულიანმა რამდენიმე მოსკოველს თვალი რომ დაადგა, თქვენც უპასუხეთ, ზოგიერთ ხორვატს მეც ავიყვანდიო. დინამოელთაგან თუ მოგეწონათ ვინმე ისე, რომ „ტორპედოში" მიიწვევდით?

— აქაც ბევრია ისეთი ბიჭი, რომელთაც არ დავიწუნებდი. რამდენიმე ჩავინიშნეთ კიდეც. ამას ალექსანდრე ჩივაძეს გასაგონადაც ვამბობ.

— დღეს მე შემადგენლობა ვერ დავაყენე. ვინც შეცვლებზე გამოვიყვანე, თავიდანვე უნდა გამომეყვანა. მათი დამსახურება იყო, ბოლოსკენ თამაში რომ შევცვალეთ, ამის მიზეზად „დინამოს" დაღლას არ დავასახელებდი.

— დღევანდელი თამაში ჩვენმა შუა ხაზმა წააგო. ისინი კლასით ჩამოუვარდებოდნენ თბილისელებს, ამის კომპენსაცია კი ჩვენი მხრიდან რა ჩანდა.

— თბილისის თამაში მძიმე იქნება. ჯერჯერობით ჩვენი გასვლის შესაძლებლობაცაა და სურვილიც გვაქვს საამისო.

— „ლუჟნიკების" დახმარებით უფრო კარგად ვცხოვრობთ. ბიჭებს ვალები გავუსტუმრეთ, მაგრამ ზოგი ამან ზედმეტად დაამშვიდა. ისინი, ისევე როგორც მთელი რუსი ხალხი, ნერვებაშლილნი უკეთ თამაშობდნენ.

### შემსრულებლები

ლევან კობიაშვილი:

**— ასეთ შედეგს თუ ელოდით?**

— შესაძლოა, ველოდით კიდეც. სამართლე რომ ვთქვათ, წარმატებას ნამდვილად ვიმსახურებდით.

**— მწვრთნელის დავალებით როგორ უნდა გემოქმედათ მინდორზე?**

— ჩვენი შეტევის დროს მარცხენა ფრთაზე უნდა მემოქმედა, მეტოქის შეტევისას კი შუაში უნდა შევსულიყავი და იმათი ნახევარმცველი უნდა ამეყვანა. მგონი, ნორმალურად გავართვი თავი.

**— „ტორპედოსთან" შენი საუკეთესო მატჩი ითამაშე. ეს შენი შესაძლებლობის მაქსიმუმია თუ კიდევ შეგიძლია მოუმატო?**

— კი იყო ჩემი საუკეთესო თამაში, მაგრამ მეტი უნდა ვიმუშაო და ვივარჯიშო, რომ უფრო უკეთ ვითამაშო.

**— მეტოქის შესახებ რას იტყვი?**

— მე თუ მკითხავ, კარგი გუნდია, ნორმალური. მე მომეწონა.

გოჩა ჯამარაული:

**— ტრავმა, რომელიც მიიღე, სერიოზულია?**

— ეს ტრავმა ჯერ კიდევ ტალინიდან მომყვება. კუნთის დაჭიმულობა მაქვს. გართულებული კია, მაგრამ მაინც ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვამჟღავნო და იმაზე არ ვიფიქრო, კუნთი მეტკინება თუ არა. თუმცა, როგორც კი შემაწუხებს, ეგრევე გამოვდივარ.

**— მოგებას ელოდი?**

— ველოდი. იმიტომ, რომ ესენი ერთ რამეში ძალიან ცდებოდნენ — ფიზიკურად დავჯაბნითო, ამის იმედი ჰქონდათ.

**— „ტორპედოზე" რა შეგიძლია თქვა?**

— ამ გუნდს ჩემი რეკლამა არ სჭირდება. ყველამ იცის, რასაც წარმოადგენს. ჩემის აზრით, კარგი გუნდია. საუკეთესო იმათგან, ვინც უეფაზე შეგვხვდა.

**— „ალინიაში" ყოფნისას „ტორპედოსთან" თამაში მოგიწია. დიდი განსხვავება იყო მაშინდელსა და ახლანდელ „ტორპედოს" შორის?**

— ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მაშინ შუსტიკოვი ჰყავდა.

**— ვინ გამოყოფდი მასპინძელთაგან და ჩვენგან?**

— იმათგან კამოლცევს, ვოსტროსაბლინს, ჩვენგან — კობიაშვილს.

**— კობიაშვილის ასეთ თამაშს ელოდი?**

— იგი ისეთ ადგილას დააყენა ჩვენმა მწვრთნელმა, რომ ნამდვილად არ ველოდი. ყველანი შეჩვეული ვიყავით მის თამაშს მარცხნიდან. ვფიქრობ, ეს მისი ადგილია.

**— წვიმა რომ არ ყოფილიყო, ანგარიში სხვა იქნებოდა?**

— ჩვენ უკეთ ვითამაშებდით.

**— საქმე გაკეთებულია?**

— არა, საქმე მაშინ იქნება გაკეთებული, თბილისში რომ ვითამაშებთ. ღმერთმა ქნას, ისე გვეთამაშოს, რისი ღირსებნიც ვართ.

**— თბილისის თამაშის შენეული პროგნოზი როგორია?**

— ყოველთვის ვცდილობ, თავი შევიკავო წინასწარი ლაპარაკისგან.

**— ანგარიშს ლოგიკურად მიიჩნევ?**

— სხვანაირად არ გაიგოთ, მაგრამ ჩვენს სასარგებლოდ 2:0 მაინც უნდა ყოფილიყო.

**— „ტორპედოსთან" მიღებული ყვითელი შენთვის პირველი იყო...**

— რაც საერთოდ უეფას თასზე და ნაკრებში ვთამაშობ, ეს მართლაც პირველი გაფრთხილება იყო.

**— დღეს ფიზიკურად ძლიერნი და თავდაჯერებულნი ჩანდით...**

— როგორც გარედან ჩანდა, ისეც იყო. მე ჩვენი დაცვის და საერთოდ ბიჭების იმედი ყოველთვის მქონდა, მაგრამ მას მერე უფრო განმიმტკიცდა, „მოლდესთან" სტუმრად რომ ვითამაშეთ.

**— თბილისში სხვაგვარი თამაში იქნება?**

— უფრო დაძაბულ ატმოსფეროში მოგვიწევს თამაში.

**— ესე იგი, შანსი „ტორპედოს" საკმაო დარჩა?**

— არა, მოგებულებს შანსიც მეტი გვაქვს, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ.

**— რა რესურსი უნდა ჰქონდეს „ტორპედოს"?**

— ბევრი არაფერი. დღევანდელ თამაშს გაიმეორებს, მეტი თავგანწირვით.

**— ჩვენი პლუსი რა იქნება განმეორებით მატჩში?**

— გოგიჩაიშვილი, იგი ლიდერია „დინამოშიც" და ნაკრებშიც, თავისი სისწრაფით, ფიზიკური მომზადებით.

ნუგზარ ლობჟანიძე:

**— ასეთ შედეგს ელოდით?**

— დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ყველაფერს გავაკეთებდით, რათა არ წაგვეგო. მე მგონი, თამაშმაც დააკმაყოფილა ჩვენი გულშემატკივარი და შედეგიც ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო.

**— „ტორპედო" როგორ გუნდადაც მოგაჩნდათ, ისეთი იხილეთ, თუ სხვა ძლიერი მხარეებიც ჰქონდათ?**

— ჩვენ რაც ვიცოდით, რასაც ველოდით, რაზეც თეორიული მომზადებისას გამახვილდა ყურადღება, ეგ იყო. ფიზიკურად ძალიან კარგები არიან, მაგრამ ჩვენც კარგად დავხვდით. ასე რომ, ფიზიკურ მომზადებას რომ გვიწუნებდნენ, მგონი, ყველამ ნახა, რომ არც „ტორპედოს" ჩამოვრჩით, არც „მოლდეს" და არც არავის.

**— განმეორებით თამაშზე რას ფიქრობ?**

— ძნელი იქნება. არ ვფიქრობ, რომ გასულები ვართ. ეს ფეხბურთია და თან უეფას თასი. აქ კი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ შეიძლება კატასტროფა შეგვამთხვიოს. ყველაფერი 24-ში, თბილისში გაირკვევა.

ირაკლი ზოიძე:

**— თავიდან ერთ-ორჯერ შეცდი. რისი ბრალი იყო?**

— უბრალოდ, ბურთი ცუდად დაეცა ჩემს წინ, თან მინდორიც სველი იყო.

**— დაცვაზე რას იტყვი?**

— ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა, მთელმა დაცვის ხაზმა. როგორც მოლდეში, უკვე ჩვეულად, ყველამ მაგრად ითამაშა.

**— ესე იგი, „დინამო" თანდათან ძლიერდება და უმატებს?**

— ასეა. შარშანდელთან შედარებით დიდი პროგრესია.

**— „ტორპედოში" ვინ მოგეწონა, ვინ უფრო შეგაწუხა, ვინ იყო უფრო საშიფათო შენთვის?**

— კამოლცევი. პირველ ტაიმში ერთხელ პირისპირაც გამოვიდა...

**— სველმა მინდორმა ხომ არ შეგაშინა?**

— არა. ჩვენ შეკრება ბალტიისპირეთში გავიარეთ, იქ კი ყოველდღე წვიმდა.

**— მეტოქის მეკარის საბედისწერო შეცდომაზე რას იტყვი?**

— არ უნდა შემცდარიყო. ის ბურთი არ უნდა გაეშვა. სხვა უფრო იყო გასაშვები.

**— თბილისში ისეთსავე „ტორპედოს" ელოდები თუ სხვას?**

— სულ 15 კაცი ჰყავთ და ამათ ატრიალებენ. შეიძლება, 2-3 კაცი შეცვალონ.

**გრიგორი ფილიპოვის ფოტოები**



ჯამარაული სმერტინის გაქცევას ცდილობს

## უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი
10-11 სექტემბერი

UEFA CUP

ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) — დინამო (თბილისი, საქართველო) 0:1
ბრონდბიუ (დანია) — არაუ (შვეიცარია) 5:0
ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) 0:1
აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) — ესპანიოლი (ბარსელონა, ესპანეთი) 2:2
გინგამი (საფრანგეთი) — ინტერი (მილანი, იტალია) 0:3
ოდენსე (დანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) 2:3
ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 3:0
ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) — ჰალმშტადი (შვედეთი) 4:0
აბერდინი (შოტლანდია) — ბერი თაუნი (უელსი) 3:1
რომა (იტალია) — დინამო (მოსკოვი, რუსეთი) 3:0
სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) — ჰამბურგი (გერმანია) 0:2
ტენერიფე (ესპანეთი) — მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) 3:2
არსენალი (ლონდონი, ინგლისი) — ბორუსია (მიონხენგლადბახი, გერმანია) 2:3
ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) — ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი) 0:0
ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 1:2
ბრიუგე (ბელგია) — ლუნგბიუ (დანია) 1:1
ასტონ ვილა (ბირმინგემი, ინგლისი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:1
ლანსი (საფრანგეთი) — ლაციო (რომი, იტალია) 0:1
მალმიო (შვედეთი) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი) 1:2
ჟერმინალი (ეკერენი, ბელგია) — კაზინო გ.ა.კ. (გრაცი, ავსტრია) 3:1
მონპელიე (საფრანგეთი) — სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) 1:1
ვალენსია (ესპანეთი) — ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 3:0
დინამო (კიევი, უკრაინა) — ქსამაქსი (ნოიშატელი, შვეიცარია) 0:0
მოლენბეკი (ბელგია) — ბეშიქთაში (სტამბული, თურქეთი) 0:0
პარმა (იტალია) — ვიტორია (გიმარაეში, პორტუგალია) 2:1
ალანია (ვლადიკავკაზი, რუსეთი) — ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) 2:1
შალკე 04 (გელზენკირხენი, გერმანია) — როდა (კერკრადე, ჰოლანდია) 3:0
ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) — მეცი (საფრანგეთი) 0:0
ჰუტნიკი (კრაკოვი, პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი) 0:1
სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — სილკებორგი (დანია) 3:2
რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) — კარლსრუე (გერმანია) 1:0
პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) 4:2

# შოთაც იტანს, მურთაზიც, შირერი კი — მერა

უფრო ზუსტად, სამშაბათს შვედურ „ჰალმშტადთან“ ალან შირერმა სამი გოლი გაიტანა, მაგრამ დანიელმა მსაჯმა ერთიც არ ჩათვალა — პირველად, ბურთმა ხაზი არ გადაკვეთაო — თქვა, ორჯერ კი თამაშგარე ალნიშნა (ერთხელ პასიური). მიუხედავად ამისა, კიგანის გუნდმა ბრიტანულთაგან საუკეთესო შედეგს მიაღწია და 4:0 მოიგო. მსაჯის მიერ მოწონებული გოლები ლეს ფერდინანდის (6), ფაუსტინო ასპრილიას (26), ფილიპ ალბერის (51) და პიტერ ბერდსლის (54) ანგარიშზეა. „ნიუკასლი“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სრნიჩეკი, უოტსონი (ბარტონი 66), პიკოკი, ჰაუი (ალბერი 46), კლარკი, ლი (გილესპი 70), ბერდსლი, შირერი, ფერდინანდი, ჟინოლა.

მეორე ინგლისურ-შვედური დუელი მოულოდნელად ფრედ დამთავრდა — ბირმინგემელი იონსონის მე-14 წუთზე გატანილი გოლი 81-ეზე ჰელსინგბორგელმა ვიბრანმა გაქვითა.

კიდევ ერთმა ინგლისურმა გუნდმა, „არსენალმა“ შინ წააგო. გერმანელები პირველი ტაიმის მერე ორი ბურთით იყვნენ წინ — პოლონელმა იუსკოვიაკმა (37) და შტეფან ეფენბერგმა (45) თითო გოლი შეაგდეს. 54-ე წუთზე მერსონმა სხვაობა შეამცირა, მაგრამ დამთავრებამდე ათი წუთით ადრე პასლაკმა სიმენს მესამე გაუტანა. დამთავრებამდე წამებით ადრე იან რაიტმა ანგარიშს შედარებით სოლიდური სახე მისცა. მეტოქეების შემადგენლობა ასეთი იყო — „არსენალი“: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, ლინიგენი, კიოუნი, პარლოუ (ბოულდი 75), ჰართსონი, მერსონი, პლატი, ბერხკამპი (ჰელდერი 18), რაიტი; „მიონხენგლადბახი“: კამპსი, ანდერსონი, ჰოხშტეტერი, ნოინი, ეფენბერგი, შნაიბერი, ნილსონი (ვირჰოფი 72), პასლაკი, ლუპესკუ, ფურნიე, იუსკოვიაკი (კასტენმაიერი 85).

ბრიტანეთში წარმატებით ითამაშა ბუნდესლიგის მეორე წარმომადგენელმაც — „ჰამბურგმა“ ბარონის (3) და შუპის (71) გოლებით „სელტიკი“ დაამარცხა.

ახლა რაც შეეხება ჩვენს ლეგიონერებს. ყოფილ თანაკლუბელთა მსგავსად წარმატებით ითამაშეს შოთა არველაძემ და მურთაზ შელიამ. მურთაზის თაურმა „ალანიას“ გამარჯვება მოუტანა, თუმცა ვლადიკავკაზში თავიდან სტუმრები იგებდნენ, შოთამ კი „ტრაბზონსფორის“ სტუმრად მოგებას დაუდო საფუძველი უკვე მეორე წუთზე. ამ შეხვედრაში გიორგი ნემსაძეც თამაშობდა.

იტალიური კლუბები ნებისმიერი შეჯიბრების ფავორიტებად ითვლებიან. ახლა მითუმეტეს, როცა უეფას თასის ამჟამინდელმა მფლობელმა მიუნხენის „ბაიერნმა“ ვალენსიაში კატასტროფა განიცადა და ალბათ ბრძოლას გამოეთიშება. ეს შედეგი ერთგვარად სენსაციურია. თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანელებს ჭირვეული რომარიო აკლდათ.

ამასობაში ოთხიდან სამმა იტალიურმა გუნდმა თითქმის გაიძალდა შემდეგ წრეში გასვლა. მხოლოდ „პარმა“ დგას ეჭვქვეშ — „გიმარაეშმა“ სტუმრად მხოლოდ მინიმალურად წააგო: კიეზას ორ გოლს (40, 82) 77-ე წუთზე ჟილმარმა უპასუხა. არადა, „პარმას“ საბრძოლო შემადგენლობა ჰყავდა: ბუჩი, კანავარო, ტიურამი, სენსინი, ბენარივო (მუსი 9), ამარალი (კრიპა 57), დ. ბაჯო, ბრავო, სტრადა, ძოლა (მელი 78), კიეზა. ამ თამაშში მსაჯმა შვიდი ფეხბურთელი გააფრთხილა, პორტუგალიელი ტონინიო კი 91-ე წუთზე წითელი ბარათით დასაჯა. საერთოდ, იმ დღეს, ოთხივე მატჩში, სადაც იტალიელები თამაშობდნენ, თითო კაცი გაძევების გამო ვადაზე ადრე ტოვებდა მოედანს, თუმცა რიგით მივყვეთ.

„ინტერმა“ სტუმრად ფოთელთა ნაცნობი „გინგამი“ გაანადგურა. აქ მსაჯმა 72-ე წუთზე მასპინძელთა პოლონელი მცველი იოქვიაკი გააძევა, გოლები კი განცმა (24), ჯორკაეფმა (71) და სფორცამ (87) გაიტანეს. საინტერესოა, რომ მილანელთა სასტარტო შემადგენლობაში ექვსი კაცი უცხოელი იყო, მთლიანობაში კი „ინტერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: პალიუკა, ფესტა (პისტონე 90), ანგლომა, ინსი, პაგანინი, ფრეზი, ძანეტი, სფორცა, სამორანო (ბერტი 90), ჯორკაეფი (კარბონე 81), განცი.

ასევე 3:0, ოღონდ შინ მოიგო „რომამ“. ამ მატჩში გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო — „რომა“: სტერჩელე, ანონი, ტროტა, ალდაირი, ლანა, ტომაზი, დი ბიაჯო, ტერნი, ტოტი (გროსი 56), ბალბო (ბერეტა 32), ფონსეკა (ბერნარდინი 79); „დინამო“: სმეტანინი, იახიმოვიჩი, ნეკრასოვი, კოლოტოვკინი, შტანიუკი, კობელევი, ს. გრიშინი, ჩერიშევი, კუზნეცოვი (გუსევი 67), ა. გრიშინი, ტოჩილინი (ტიშკოვი 24). აქ 46 647 მაყურებლიდან უმეტესობა კმაყოფილი დარჩა. „რომა“ უკვე პირველი ტაიმის მერე იგებდა დიდი ანგარიშით: მეშვიდე წუთზე გატანილ ტომაზის გოლს ურუგვაელმა ფონსეკამ მე-19-ზე და 42-ეზე პენალტით ორი დაამატა. „ტრადიციულად“, 53-ე წუთზე მოედანზე 21 ფეხბურთელი დარჩა — მსაჯმა რუსი შტანიუკი დაითხოვა.

აი, „ლანსი“ — „ლაციოს“ შეხვედრაში კი იტალიელი, ფავალი გააძევეს. თან, უკვე 31-ე წუთზე. ამან სტუმართა რიგებში დიდი გადაადგილებები გამოიწვია (სამ წუთში მწვრთნელმა ზემანმა პროტი გოტარდით შეცვალა), მაგრამ მაინც სტუმრებმა მოიგეს — გოლი დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე არგენტინელმა შამოტმა გაიტანა.

**ბიბა კობახიძე**

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

# «აიაქსი» გონს მოეგო

### A ჯგუფი

**ოსერი 0:1 აიაქსი**

0:1 ლიტმანენი (4)

**გრასჰოპერი 3:0 რეინჯერსი**

გრასჰოპერი: ცუბერბუჰლერი, გემპერლე, ჰაასი, გრენი, ტულერო, ფოგელი, ესპოზიტო, იაკინი, მანინი (ლომბარდო 73), მოლდოვანი, თურქილმაზი (რზასა 86)

რეინჯერსი: გორამი, პეტრიჩი, გოფი, ბიორკლუნდი, კლელანდი (მაკგინესი 60), დიური (მილერი 80), გესქოინი, მაკკოლი, ალბერტი, მაკკოისტი (ვან ფოსენი 69), ლაუდრუპი

გაფრთხილება: ესპოზიტო, თურქილმაზი, ჰაასი, მაკკოლი, პეტრიჩი

1:0 იაკინი (18), 2:0, 3:0 თურქილმაზი (28, 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| აიაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოსერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| რეინჯერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### B ჯგუფი

**ატლეტიკო 4:0 სტიაუა**

1:0, 2:0 ესნაიდერი (33, 45), 3:0, 4:0 სიმეონე (64, 85)

**დორტმუნდი 2:1 ვიძევი**

დორტმუნდი: კლოსი, ზამერი, კოლერი, ჟულიო სეზარი, როიტერი, ლამბერტი, მოლერი, ცორკი, ჰაინრიხი, ჰერლიხი, შაპუიზა

ვიძევი: შჩესნი, ლაპინსკი, ვოიტალა, მიხალჩუკი, სიადჩკა, ჩერვიეცი, მიხალსკი, შიმკოვიაკი, მიაკი, დემბინსკი, სიტკო

1:0, 2:0 ჰერლიხი (45, 68), 2:1 სიტკო (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვიძევი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სტიაუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

### C ჯგუფი

**რაპიდი 1:1 ფენერბაჩე**

0:1 ბოლიჩი (30), 1:1 შტუმფი (71)

**იუვენტუსი 1:0 მანჩესტერ იუნაიტედი**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, პორინი, მონტერო (ჯულიანო 90), კონტე, ზიდანი (დი ლივიო 77), დეშამპი, ვიერი (ამორუზო 72), დელ პიერო, ბოკშიჩი

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, პალისტერი, ირვინი, იონსენი, ბათი, ბექემი, კანტონა, გიგზი (მაკლეირი 46), კრუიფი (სქოულზი 77), პობორსკი (სოლსკიაერი 77)

გაფრთხილება: ნევილი, კრუიფი, ბოკშიჩი, დეშამპი, პერუცი

1:0 ბოკშიჩი (34)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფენერბაჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რაპიდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### D ჯგუფი

**გიოტებორგი 2:3 რუსენბორგი**

0:1 იაკობსენი (32), 1:1, 2:1 ერლინგმარკი (38, 49), 2:2 ივერსენი (52), 2:3 ბრატბაკი (64)

**მილანი 2:3 პორტუ**

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, გალი, რაიციგერი (ტასოტი 39), ბობანი (ერანიო 70), დესაი, ვეა (დევიდსი 71), ბაჯო, სიმონე

პორტუ: ვოზნიაკი, ალოისიო (დრულოვიჩი 73), მენდესი, კონსეისაუ, ლულა, არტური (რუი ბარუში 86), ბაროსი (ჟარდელი 62), პაულინიუ სანტუში, ედმილსონი, ჟორჟე კოშტა, ზაჰოვიჩი

გაფრთხილება: არტური, მენდესი, პაულინიუ სანტუში, ჟორჟე კოშტა, ბაროსი, სიმონე, ალბერტინი

1:0 სიმონე (15), 1:1 არტური (53), 2:1 ვეა (69), 2:2, 2:3 ჟარდელი (76, 82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| რუსენბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| გიოტებორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |

# რა მოხდა ხარაგაულში?

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფმა ოთხი ტური მოილია. ამ ტურის ტექნიკური შედეგები წინა „სარბიელში“ გამცნეთ. ყველაფერმა თითქოს ნორმალურად ჩაიარა და ორივე, აღმოსავლეთ-დასავლეთ ზონებში სკანდალური და შემაშფოთებელი არაფერი მომხდარა. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. არმოსახდენი მოხდა ხარაგაულში, სადაც ადგილობრივმა „ჩხერიმელამ“ ზონელების „იმერეთი“ მიიღო და 2:3 წააგო. რა არის გასაკვირი, დიდი ამბავი, მავანმა შინ წააგო, მავანმაც სტუმრად მოიგოო, იკითხავთ და მართალიც იქნებით. ფეხბურთიც და სხვაც ხომ იმითაც არის საინტერესო, რომ მარტო მასპინძლები არ იგებენ. სხვაგვარად ბურთაობას რა აზრი ექნებოდა. ეს ყოველივე ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ზოგ შინ დამარცხებულს ამის გაგონებაც არ უნდა, სახლში წაგებას ვერასგზით შეჰგუებია და ამისი ძარღვების უაზრო აშლით მრავალთ ნერვები აწყდებათ.

მოკლედ, ინციდენტი მოხდა. სჯობს, ყველაფერს თავიდან მოვყვეთ. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან: როცა ეს ჩემპიონატი იწყებოდა, ფეხბურთის ფედერაციამ ახალი, წინათაგან საკმაოდ სახეცვლილი და გაუმჯობესებული დებულებაც გამოსცა. მისი დაცვა, აბა, რა სალაპარაკოა, ყველასთვის აუცილებელია. ამ დებულებაში, კერძოდ, მის მეხუთე პარაგრაფში, ცალკეა გამოტანილი დისციპლინური სასჯელი, რომლის თანახმადაც გუნდები შეიძლება საკმაოდ მკაცრად დაისაჯნენ, თუ გონებას არ მოუხმობენ. ის კი არა, ფეხბურთის ფედერაცია, ამ თავისი კონსტიტუციით, ზოგიერთ ვითარებაში უფლებას იტოვებს, ესა თუ ის წესის დამრღვევი კლუბი სულაც გათამაშებიდან მოხსნას. ამგვარი უკვე მოხდა, როცა რუსთაველთა „აზოტი-აკადემია“ შეჯიბრებიდან დაითხოვეს. ყოველივე კარგად უწყიან კლუბების ხელმძღვანელებმა და აკი ცდილობენ კიდეც, სტადიონზე წესრიგი ჰქონდეთ, მსაჯები და დელეგატი „ვილაც ოხრის“ ხელყოფისგან დაიცვან. აი, ამ დასჯის შიშის წყალობითაა, რომ აქამდე მთლად უშფოთველად თუ არა, ასე თუ ისე წესრიგიანად მიედინებოდა ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატი.

და ამ ყოველმა ოთხი ტურიც ვერ გაძლო ანუ ისევ „ჩხერიმელამა“ — „იმერეთის“ მატჩს მივუბრუნდეთ. ამ თამაშამდე მასპინძლებს თითო მოგება-ფრე-წაგებით ოთხი ქულა მოეგროვებინათ, სტუმრებს კი მოგება და ორი ფრე გაეხერხებინათ და ხარაგაულელებს ქულით უსწრებდნენ. ერთი სიტყვით, მოგება მასპინძლებს ძალიანაც ეწადათ, მაგრამ არც სტუმრებს სურდათ ნაკლებად. მსაჯის ბოლო დასტვენას ბევრი აღარ უკლდა, ანგარიში კი საყაიმო იყო — 2:2. ერთ ეპიზოდში თანამსაჯ ჩიგოგიძეს სტუმართა სასარგებლოდ თამაშგარე დაუფიქსირებია და როგორც თვითმხილველები ამბობენ, საკმაოდ ობიექტურადაც. ჰოდა, თუ ასე იყო, ნეტავი რა არ მოეწონა ჩხერიმელელ ციკოლიას, რომ ჩიგოგიძესთვის შემოუკრავს. ამით ციკოლიამ თავიც დაიღუპა და გუნდიც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. ფეხბურთელს ძალიან არაობიექტურიც რომ ეგონოს არბიტრის გადაწყვეტილება, ვალდებულია ემოციები დაიოკოს, რადგან მსაჯის მსაჯულნი სხვანი გახლავან და არა იგი.

ზემოთ, თავში, მეხუთე პარაგრაფი ტყუილად როდი ვახსენეთ. იქ გარკვევით წერია:

— თამაშის მსაჯის ან დელეგატის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დამნაშავე გუნდს დაეკისრება ფულადი ჯარიმა და ჩამოეწერება 5 ქულა.

— თუ გუნდს არა აქვს დაგროვებული იმდენი ქულა, რამდენითაც დაჯარიმებულია, ქულების ჩამოწერა მოხდება ჩემპიონატის მსვლელობის დროს.

ვერაფერს ვიტყვით და ხარაგაულელებსაც ვერაფრით ვანუგეშებთ. ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჯერ არ გამართულა და საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოტანილა, მაგრამ ფაქტი ერთია — დარღვევა იყო, ეს დარღვევა კი როგორც ისჯება, ზემოთაც მოგახსენეთ. თუ ყველაფერი ასე მოხდა, ხარაგაულელებს სამი ტურის ნაჯაფარი წყალში ეყრებათ. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო და, თუ მორალულ ხმებს დავუჯერებთ, ზემოთ აღნიშნული დარღვევაც და ხარაგაულელთა საფეხბურთო მეურნეობის სხვა ხარვეზებიც იმის ბრალია, რომ იქ მავანთ ფეხბურთი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ. მიზეზსაც ამბობენ — ფეხბურთი ხომ ტყუილი ხარჯიაო, ასე მიიჩნევენ.

მოკლედ, ენახოთ, სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტს დაველოდოთ და გამოტანილ განაჩენზე მერეც ვთქვათ.

**მამუკა ქმანტალიანი**

## ლონდაძე კი, გურ[illegible]

[illegible] „მარგვეთის“ სამი ფეხბურთელი ავტოკატასტროფაში მოყვა. ისიც გაცნობეთ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. ღვთის მადლით, საკითხავძ შევექმნა, შეძლებდნენ თუ არა ამ სეზონშივე თამაშს. გენადი ლანჩავამ წინა ტურში ითამაშა. როგორც „მარგვეთის“ პრეზიდენტმა ვასო ხაჭაპურიძემ გვითხრა, მალე ვარჯიშს განაახლებს მეორე დაზარალებული მალხაზ ლონდაძე. ზაზა გურიელიძეზე კი სანუგეშოს ჯერჯერობით ვერას ამბობენ. სამი მოტეხილობა აგრე იოლად მოსარჩენი არ გახლავთ. არც ის არის გამორიცხული, გურიელიძემ ამ სეზონში კი არა, საერთოდ ვერ ითამაშოს ფეხბურთი.

## „გორდას“ ისევ უჭირს

რუსთაველთა გუნდს ბევრი უნახავს. მშიერიც ყოფილა და მაძღარიც, ფეხზე მდგარა და დავარდნილა კიდეც. წინა ჩემპიონატის საპრიზო ადგილის მაძიებელი წელს ჯერჯერობით ათეულის მიღმაა. რუსთაველებმა ამ სეზონში გაახალგაზრდავებული გუნდი კი გამოიყვანეს, მაგრამ „გორდასთვის“ პრობლემა, თანაც საკმაოდ მძიმე, ფინანსური გასაჭირია. როგორც კლუბის წარმომადგენლებთან საუბარში გავარკვიეთ, ქალაქის ხელმძღვანელები დახმარებაზე და პატრონობაზე უარს არ იძახიან, მაგრამ მათი სიტყვა ჯერ საქმედ არ ქცეულა, და ფეხბურთელები და მწვრთნელები ისევ ჯიბეგაფხეკილნი დაიარებიან. არადა, საქმე ისეა, ახლა თუ არ ეშველა, მერე მთლად წახდება და გვიანი იქნება თავში ცემაც და სინანულიც.

## დასაწყისი კარგი იყო, გაგრძელება ჩინებული

ფსკოვში მიმდინარე ოთხთა ტურნირში რუსეთის ნაკრებთან პირველი ყაიმის მერე ჩვენმა ყმაწვილმა ფეხბურთელებმა გუშინწინ ბელარუსებს 3:1 სძლიეს, რუსეთმა და ლიტვამ კი ერთმანეთს ფრე — 1:1 აკმარეს. ორი ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრები გათამაშების ლიდერია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ლიტვა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| რუსეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

ბოლო თამაშში, დღეს, ქართველები ლიტველებს შეხვდებიან. ტურნირში გასამარჯვებლად ჩვენებს ფრეც ჰყოფნით.

## ძნელია ქართველობა

დონეცკის „შახტიორში“ მოთამაშე მიხეილ ფოცხვერიამ, ნოვოსიბირსკის ოლქის ქალაქ კურონდუშში რომაა დაბადებული და ქართულად ხეირიანად ვერც ლაპარაკობს, თავისი არჩევანი გააკეთა და 3 სექტემბერს კიევში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში, ჩვენებმა 1:3 რომ წააგეს, ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში სწორედ ფოცხვერიამ შეაგდო. თითქოს მისალოცადაც უნდა ჰქონოდა საქმე, მაგრამ...

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, უკრაინელები აღუშფოთებია არჩევანს. კიევში მყოფი ერთ-ერთი ჩვენი მწვრთნელის თქმით, უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა თავის დამცველებს ის კი არ უსაყვედურა, გოლი რატომ გაუშვითო, არამედ — რაღა მაინცდამაინც ფოცხვერიას გაატანინეთო (?!). ფოცხვერიას „ოფიციალურ გაქართველებას“ არც „შახტიორში“ გამოუწვევია დიდი სიხარული. მოსალოდნელი იყო, რომ იქაც არ მოუწონებდნენ ამ „საქციელს“. ასეც მოხდა: 6 სექტემბერს კიევის „დინამოსთან“ შინ 1:3 წაგებულ მატჩში დონეცკელთა მწვრთნელმა ფოცხვერია საერთოდ არ შეიყვანა განაცხადში.

**საქართველო იტალიის წინააღმდეგ**

— 9 ოქტომბერს იტალიის ქალაქ პერუჯაში — ოთხდღიანი შოპ-ტური ექსკურსიით — ყველაზე იაფად. მგზავრობა კომფორტული ავტობუსით.
გასვლა 3 ოქტომბერს.

დაგვიკავშირდით ფირმა „მოგზაურში“:
ჭავჭავაძის 21, 29-20-20
აღმაშენებლის 134, 96-14-75
რუსთაველის 42, 99-84-73
93-46-75

## ფეხბურთი

# სამხრეთის ლეგიონი

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში გაგაცანით ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის უმაღლეს ჯგუფებში მონაწილე გუნდების სია. ამჯერად ევროპის სამხრეთში, ესპანეთსა და იტალიაში მოთამაშე უცხოელებსაც გადავხედოთ.

### იტალია

მილანი (სულ 7 უცხოელი): მარსელ დესაი, კრისტოფ დუგარი (საფრანგეთი), მიქაელ რაიციგერი, ედგარ დევიდსი (ჰოლანდია), დეიან სავიჩევიჩი (იუგოსლავია), ჯორჯ ვეა (ლიბერია), ზვონიმირ ბობანი (ხორვატია).

იუვენტუსი (5): დიდიე დეშამი, ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (იუგოსლავია), პაოლო მონტერო (ურუგვაი), ალენ ბოკშიჩი (ხორვატია).

ლაციო (4): მარკ ფიში (სამხრეთ აფრიკა), ხოსე შამოტი (არგენტინა), პოლ ოკონი (ავსტრალია), პაველ ნედვედი (ჩეხეთი).

ფიორენტინა (4): რუი კოშტა (პორტუგალია), შტეფან შვარცი (შვედეთი), ლუის ოლივეირა (ბელგია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა).

პარმა (6): ლილიან ტიურამი, დანიელ ბრავო (საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ერნან კრესპო (არგენტინა), ამარალი, ზე მარია (ბრაზილია).



დანიელ ბრავო (პარმა)

რომა (6): აბელ ბალბო, რობერტო ტროტა (არგენტინა), იონას ტერნი, მარტინ დალინი (შვედეთი), დანიელ ფონსეკა (ურუგვაი), ალდაირი (ბრაზილია).

ინტერი (8): ჟოსლენ ანგლომა, იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ჩირიაკო სფორცა (შვეიცარია), არონ ვინტერი (ჰოლანდია), პოლ ინსი (ინგლისი), ივან სამორანო (ჩილე), ნვანკვო კანუ (ნიგერია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა)

სამპდორია (5): კრისტიან კარემბუ, პიერ ლეგლი, ომარ დიენგი (საფრანგეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (იუგოსლავია), სებასტიან ვერონი (არგენტინა).

ვიჩენცა (3): მარსელო ოტერო, გუსტავო მენდესი (ურუგვაი), პიერ ვომე (კამერუნი).

კალიარი (7): დომინგეს ონილი, დარიო სილვა, ლუის რომერო (ურუგვაი), მარკო პასკოლო, რამონ ვეგა (შვეიცარია), ერიკ თინქლერი (სამხრეთ აფრიკა), კრისტიან ლონსტრუპი (დანია).

უდინეზე (6): მარეკ კოზმინსკი (პოლონეთი), თომას ჰელვეგი (დანია), მოჰამედ გარგო (განა), ემამ ჰაზემი (ეგვიპტე), მარსიუ ამორუზო (ბრაზილია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია).

ნაპოლი (6): ანდრე კრუზი, რიბეირუ კაიო, ბეტო (ბრაზილია), რობერტო აიალა (არგენტინა), ალენ ბოლოსიანი (საფრანგეთი), ბერტრან კრასონი (ბელგია).

ატალანტა (4): ხოსე ერერა, ფედერიკო მაგალიესი (ურუგვაი), იოაჰიმ პერსონი (შვედეთი), ზორან მირკოვიჩი (იუგოსლავია).

ვერონა (1): რეინალდო (ბრაზილია).

ბოლონია (2): იგორ კოლივანოვი (რუსეთი), კენეტ ანდერსონი (შვედეთი).

პერუჯა (3): მიშელ კრეეკი (ჰოლანდია), ალექსანდრ კოჩიჩი (იუგოსლავია), მილან რაპაიჩი (ხორვატია).

რეჯანა (6): მიხაელ ჰაცი (ავსტრია), დიტმარ ბაიერსდორფერი (გერმანია), ჟორჟ გრიუნი (ბელგია), იგორ სიმუტენკოვი (რუსეთი), ადოლფო ვალენსია (კოლუმბია), იონ ოვიდიუ საბეუ (რუმინეთი).

### ესპანეთი

ატლეტიკო (7): ხუან ესნაიდერი, ლეონარდო ბიაჯინი, დიეგო სიმეონე (არგენტინა), მილინკო პანტიჩი (იუგოსლავია), რადეკ ბეიბლი (ჩეხეთი), კვენტინ ფორჩუნი (სამხრეთ აფრიკა), ივან როშა (ბრაზილია).

ვალენსია (6): ვიოლა, რომარიო, ივან კამპო (ბრაზილია), ვალერი კარპინი (რუსეთი), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა).

ბარსელონა (9): ვიტორ ბაია, ფერნანდო კოუტუ, ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), ჯოვანი, რონალდო (ბრაზილია), ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), გეორგ პოპესკუ (რუმინეთი), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია)

ესპანიოლი (7): ბრანკო ბრნოვიჩი, გორან ბოგდანოვიჩი, ნენად პრალია (ხორვატია), მაურისიო პოჩეტინიო, ფავიო ფერნანდესი (არგენტინა), ნიკოლა უედეკი (საფრანგეთი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი).

ტენერიფე (9): ხოსე ბულიბაშიჩი, პაბლო პასი (არგენტინა), ოლივერ ნევილი (გერმანია), მეხო კოდრო (ბოსნია), ფრანსისკო როხასი (ჩილე), ბერგტ ანდერსონი (შვედეთი), პაველ ჰაპალი (ჩეხეთი), აურელიო ვიდმარი (ავსტრალია), სლავიშა იოკანოვიჩი (იუგოსლავია).

რეალი (7): პრედრაგ მიატოვიჩი, დეიან პეტკოვიჩი (იუგოსლავია), დავორ შუკერი (ხორვატია), კარლოს სეკრეტარიუ (პორტუგალია), რობერტო კარლოსი (ბრაზილია), ფერნანდო რედონდო (არგენტინა), კლარენს ზეედორფი (ჰოლანდია).

რეალ სოსიედადი (5): გეორგ კრაიოვეანუ (რუმინეთი), დარკო კოვაჩევიჩი (იუგოსლავია), ხუან გომესი (არგენტინა), ჰოკან მილდი (შვედეთი), იაუ აჩეამპონგი (განა).

ბეტისი (8): რობერტ იარნი, ნენად ბელიცა (ხორვატია), ალბერტ ნადი, ვლადიმირ სტოშიჩი (იუგოსლავია), ვოიცეხ კოვალჩიკი (პოლონეთი), ჯორჯ ფინიდი (ნიგერია), ვირხილიო ფერეირა (პარაგვაი), ხრისტო ვიდაკოვიჩი (ბოსნია).

დეპორტივო (10): კორენტენ მარტენსი, მიშელ მადარი, ჟერომ ბონისელი (საფრანგეთი), რივალდო, მაურო სილვა (ბრაზილია), ჟაკ სონგოო (კამერუნი), პეტრ კოუბა (ჩეხეთი), ბრანკო მილოვანოვიჩი (ხორვატია), ნურედინ ნაიბეტი (მაროკო), მიროსლავ ჯუკიჩი (იუგოსლავია).

კომპოსტელა (7): ლუბოსლავ პენევი (ბულგარეთი), დმიტრი პოპოვი (რუსეთი), გორან საულა (იუგოსლავია), კრისტოფერ ოხენი (ნიგერია), ბენტ კრისტენსენი (დანია), საიდ ჩივა (მაროკო), ფრანკ პასი (საფრანგეთი).

სელტა (8): დანიელ დუტუელი, რიშარ დუტრუელი (საფრანგეთი), ვლადიმირ გუდელი (ბოსნია), ჰაიმ რევივო (ისრაელი), ალექსანდრ მოსტოვოი (რუსეთი), ხოსე დელ სოლარი (პერუ), მაზინიო (ბრაზილია), მილოდრაგ რატკოვიჩი (ხორვატია).

ხარაგოსა (3): ვლადისლავ რადიმოვი (რუსეთი), სერჯო ბერტი (არგენტინა), გუსტავო პოიეტი (ურუგვაი).

ბილბაო (1): ბიქსენტ ლიზარაზუ (საფრანგეთი). კლუბის ისტორიაში პირველი უცხოელი, თუმცა ბასკი.

სევილია (7): მატიას ალმეიდა, დანიელ კოლუსო (არგენტინა), პეტროს მარინაკისი, ვასილის ცარტასი (საბერძნეთი), ივიცა მოლნარი (ხორვატია), მირსად ჰიბიჩი (ბოსნია), ტარიკ ულიდა (ჰოლანდია).

ოვიედო (6): პაულუ ბენტუ, აბელ შავიერი (პორტუგალია), ვიქტორ ონოპკო (რუსეთი), პეტერ დუბოვსკი (სლოვაკეთი), ფერნანდო გამბოა (არგენტინა), მიტკო სტოიკოვსკი (მაკედონია).

ვალიადოლიდი (4): ხუან პენია (ბოლივია), ლოსანო (კოლუმბია), ჟოზე კრისტიანო (ბრაზილია), ალენ პეტერნაცი (ხორვატია).

რასინგი (6): ილშატ ფაიზულინი, სერგეი შუსტიკოვი (რუსეთი), დიეგო ლოპესი, ხოსე ლუის სალასარი (ურუგვაი), გაბრიელ შურბერი (არგენტინა), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია).

სპორტინგი (5): იგორ ლედიახოვი, იური ნიკიფოროვი (რუსეთი), უგო პერესი (არგენტინა), რუბენ გომესი (კოსტა რიკა), რაშიდი იეკინი (ნიგერია).

რაიო ვალეკანო (3): ედუ, გილიერმე (ბრაზილია), დმიტრი რადჩენკო (რუსეთი).

ერკულესი (7): იანკო იანკოვიჩი, სტანკო პავლიჩიჩი (ხორვატია), ანდრეი მოხი (რუსეთი), გაეტან იუარი (საფრანგეთი), დიტერ არტნერი (ავსტრია), იოსიფ ვიშნიჩი (იუგოსლავია), ვალენტინო ლონგი (იტალია).

ლოგრონიესი (6): რუბენ სოსა, რიკარდო კანალიესი (ურუგვაი), ივან აჯიჩი, დეიან მარკოვიჩი (იუგოსლავია), საისენ ნობოიუკი (იაპონია), იოჰან კენცი (გერმანია).

ესტრემადურა (3): კარლოს ტორესი (პარაგვაი), ალეხანდრო დურე (არგენტინა), იგორ გლუშევიჩი (იუგოსლავია).

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

სამშაბათს „მანჩესტერ სიტიმ“ სტუმრად მოუგო „პორტ ვეილს“ 2:0. გოლები როსლერმა (10) და დიკოვმა (68) გაიტანეს.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბარნსლი — სტოკ სიტი 3:0, ბირმინგემი — ოლდემი 0:0, ბოლტონი — გრიმსბი 6:1, ჩარლტონი — საუთენდი 2:0, კრისტალ პალასი — იფსვიჩი 0:0, ჰადერსფილდი — ტრანმერი 0:1, ოქსფორდი — ვულვერჰემპტონი 1:1, შეფილდ იუნაიტედი — ბრედფორდი 3:0, ვესტ ბრომვიჩი — რედინგი 3:2, ნორვიჩი — ქუინზ პარკი 1:1, სვინდონი — პორტსმუთი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნსლი | 5 | 5 | 0 | 0 | 13:3 | 15 |
| ბოლტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:9 | 13 |
| ტრანმერი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| ნორვიჩი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| სტოკ სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:9 | 11 |
| ვულვზი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| პორტსმუთი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| სიტი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:6 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ქუინზ პარკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| შეფილდ იუნ. | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| რედინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:13 | 7 |
| ჰადერსფილდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| კრისტალ პალ. | 6 | 1 | 4 | 1 | 6:5 | 7 |
| სვინდონი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| იფსვიჩი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:10 | 6 |
| პორტ ვეილი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| ბრედფორდი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| ბირმინგემი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ოქსფორდი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:8 | 4 |
| საუთენდი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |
| გრიმსბი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:15 | 4 |
| ჩარლტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ოლდემი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:11 | 2 |

## პელე მიუნხენში

კიდევ ერთი აფრიკელი შეემატათ ბუნდესლიგელ ლეგიონერებს. განელი აბედი პელე, თავის დროზე აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი რომ იყო, „ტორინოდან“ „მიუნხენ 1860“-ში გადავიდა. ვარაუდობენ, ახალი გუნდის შემადგენლობაში იგი ზეგვე, „ფრაიბურგთან“ შეხვედრაში ითამაშებს.

## მეზობელო კარისაო...



ჯორჯ გრემი

ყველაფერი უცბად მოხდა: „ლიდს იუნაიტედმა“ ორშაბათს საღამოს მწვრთნელი ჰოვარდ ვილკინსონი დაითხოვა, სამშაბათს დილით კი კლუბის მეპატრონე რიჩარდ ტომპსონს, ლონდონის ფეშენებელურ უბან ჰემსტედში რომ ცხოვრობს, ბევრი არ უფიქრია და ახალ მწვრთნელად თავისი მეზობელი დანიშნა. ეს მეზობელი ჯორჯ გრემია.

„მიხარია, რომ ჩემს პროფესიას დავუბრუნდი. ამაში ეჭვი, მართალია, არასდროს შემპარვია, მაგრამ მაინც ძალიან გამიხარდა. „ლიდს იუნაიტედს“ ძველ დიდებას დავუბრუნებ. ის დრო, როცა ბობოლა გუნდებსაც ეშინოდათ ლიდსში ჩამოსვლა, იხევ დადგება. მართალია, წლეულს არ მინახავს „ლიდსის“ თამაში და არ ვიცნობ მის მოთამაშეებს, მაგრამ მე ჩემი ძალა ვიცი“ — დანიშვნისთანავე თქვა გრემმა.

თამამი განცხადებაა, არა?! თუმცა, ვინც გრემს იცნობს, იცის, რომ ის სიტყვებს ტყუილად არისვრის. წლინახევრის წინ „არსენალიდან“ ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობისათვის (თუმცა სასამართლომ ვერაფერი დაამტკიცა) დათხოვნილმა მანამდე, რვა წლის განმავლობაში ამ გუნდს ხუთი ტიტული შესძინა: 1988 და 1991 წლებში — ჩემპიონობა, 1993 წელს — ლიგისა და ასოციაციის თასი, 1994 წელს კი ევროპის თასების თასი.

„ლიდსისა“ და გრემის კონტრაქტი ორნახევარ წლიანია. თანხაზე ორივე მხარე დუმს, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ მწვრთნელის გასამრჯელო სულ ცოტა 300 ათასი გირვანქაა წელიწადში. კლუბმა ახალ თავკაცს 10 მილიონი გირვანქაც დაახვედრა ახალი ფეხბურთელების შესაძენად. 52 წლის გრემს ჯერ არ დაუსახელებია თანაშემწის ვინაობა. ვარაუდობენ, რომ ეს იქნება ჩრდილო ირლანდიის და „არსენალის“ ყოფილი მცველი დევიდ ო ლირი, ვისაც „ლიდსის“ ახალი მწვრთნელი ფეხბურთიდან მოკვეთის პერიოდში გოლფს ეთამაშებოდა.

## კარატე

# პირველი აღმოსავლეთ ევროპაში

თბილისს ესტუმრა ვადო ინტერნასიონალ კარატე დოს ფედერაციის გენერალური მდივანი, ინგლისელი რობერტ ჰამილტონი. იგი ჩვენთვის მეტად სასიამოვნო მისიის შესასრულებლად ჩამოვიდა. საქმე ისაა, რომ მან საქართველოს ვადორიუ ფედერა-



პარიზი, 1994 წელი. თეიმურაზ ჯორჯაძე და ვადო საერთაშორისო კარატე დოს ფედერაციის პრეზიდენტი, პროფესორი ტიცუო სუძუკი

ციის პრეზიდენტს თეიმურაზ ჯორჯაძეს ჩამოუტანა სერთიფიკატი, რომლის თანახმადაც ბატონ თეიმურაზს მე-5 დანი ენიჭება და საერთაშორისო აკადემიის 26-ე წევრადაა მიღებული.

ჩვენ შევხვდით ბატონ თეიმურაზს. მან გვითხრა:

— ეს ძალზე დიდი აღიარებაა. ოთხი დანის ზემოთ ტიტულს მხოლოდ მსოფლიო საბჭო ანიჭებს. ასე რომ, მე-5 დანი მსოფლიო საბჭომ მომანიჭა. გარდა ამისა გავხდი 26-ე წევრი საერთაშორისო აკადემიისა, რომლის ცენტრიც იაპონიაშია. სერთიფიკატი ჩემთვის ლონდონში ან იაპონიაში უნდა გადმოეცათ, მაგრამ ჩასვლა ვერ მოვახერხე და ამიტომ გენერალური მდივანი თავად გვეწვია. ეს არის ყველაზე მაღალი რანგი, რაც კი საერთაშორისო ფედერაციას აღმოსავლეთ ევროპის (მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ვგუ-ლისხმობ) რეგიონში მიუნიჭებია. რეხმა ბატონმა ჰამილტონმა, ვადომის ფედერაციის პრეზიდენტის პროფესორ ტიცუო სუძუკის თხოვნა, კურატორობა გამეწია ამ რეგიონისთვის, რაზეც დავთანხმდი.

ეს არა მარტო ჩემი, არამედ საქართველოს ფედერაციის დიდი აღიარებაცაა. შეგახსენებთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ფედერაციის წევრები მხოლოდ საქართველო და ესტონეთი არიან. საქართველო ფედერაციის წევრად 1994 წელს, პარიზის ევროპის ჩემპიონატზე მიიღეს. ამ ჩემპიონატზე, რომელშიც 48 ქვეყანა მონაწილეობდა, ჩვენ 6 კაციანი გუნდით ჩავედით (კაპიტანი მიშიკო მახარაძე იყო), მაშინ, როდესაც თითოეული გუნდი, ყველაზე ცოტა, 30-40 კაცს ითვლიდა. ტარდებოდა როგორც პირადი პირველობა წონითი კატეგორიების მიხედვით, ისე გუნდური, რომელშიც წონების მიხედვით დაყოფა არ არის. ასეთ ვითარებაში, როდესაც ტურნირის სხვა მონაწილე გუნდები წამდაუწუმ ცვლიდნენ შემადგენლობას, ჩვენმა ექვსკაციანმა გუნდმა 48 ნაკრებს შორის მე-8 ადგილის დაკავება მოახერხა. უცხოელი სპეციალისტების სიმპათია ჩვენს მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მაშინვე მიგვიღეს საერთაშორისო ფედერაციის წევრად. ამ განსაკუთრებულ სიმპათიას ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ბევრ ტურნირში ვერ ვიღებთ მონაწილეობას.

ესოდენ დიდი აღიარება ბევრს გვავალებს. 28 სექტემბერს ჩავატარებთ საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს (მანამდე რეგიონალური შეჯიბრები გაიმართება) და შევარჩევთ ნაკრების წევრებს, რომლებიც 2-3 ნოემბერს ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ჰოკეი

# თამაშგარე იყო...

**კანადა — აშშ 4:3**

**შაიბები:** ლინდროსი (ბლეიკი, გრეცკი, 17), დ. ჰეჩერი (ლეკლერი, სმოლინსკი, 23), დ. ჰეჩერი (ამონტე, ლიჩი, 34), ლემიე (მესიე, ბრეიჯზი, 40), ფლერი (ბრინდამორი, 46), ლეკლერი (ლიჩი, ოტო, 60), აიზერმანი (ბრინდამორი, ფლერი, 71)

10 სექტემბერს ფილადელფიაში მსოფლიო თასის პირველი ფინალური მატჩი გაიმართა. გამარჯვებას ამერიკელებს უწინასწარმეტყველებდნენ. ასეთი პროგნოზის საფუძველს, მათი დამაჯერებელი თამაში და კანადასთან ჯგუფში 5:3 მოგება იძლეოდა. ცნობილი რუსი მწვრთნელის ტიხონოვის აზრით, ამერიკელებმა თავიდანვე ირწმუნეს, რომ თასის აღება შეეძლოთ, ამიტომაც იყვნენ ასე თავდაჯერებულნი.

მაგრამ პირველი პერიოდი კანადელთა სრული უპირატესობით წარიმართა (დარტყმების რაოდენობაც მათ სასარგებლოდაა — 11:5). მათ უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს და ერთხელ რიხტერის კარიც აიღეს — ლინდროსმა გრეცკის პასით რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

მეორე პერიოდი კი ამერიკელებისა იყო, განსაკუთრებით დერიან ჰეჩერი აქტიურობდა. მან პირველი ქულებიც მიითვალა და გუნდიც დააწინაურა. ჯერ იყო და, ლეკლერის გარღვევის შემდეგ დაამატა, მერე კი ამონტეს გადაცემა გამოიყენა. ერთი სიტყვით, კანადას ძალიან გაუჭირდებოდა მესამე პერიოდში, მარკ მესიეს ოსტატობა რომ არა. სახელოვანმა ვეტერანმა მეორე პერიოდის ბოლო წუთზე მეტოქეს შაიბა აართვა, უმალ კლოდ ლემიეს მიაწოდა და ანგარიში გათანაბრდა. დამთავრებამდე შვიდი წამით ადრე კი ამერიკელებს მოუხდათ მესამედ გათანაბრება — ეს ფილადელფიელმა ლეკლერმა შეძლო (მანამდე ფლერიმ კანადა დააწინაურა).

დამატებით დროში კანადელებმა შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს. სტივ აიზერმანმა მეორედ მოუტანა გუნდს გამარჯვება (პირველად — სლოვაკებთან). ამ გოლმა ამერიკელების უკმაყოფილება გამოიწვია — მათი აზრით, მანამდე თამაშგარე იყო, მაგრამ მათ დავას შედეგი არ მოჰყოლია. კანადამ პირველი წარმატება იზეიმა აშშ-სთან და 12 სექტემბერს მოგების შემთხვევაში თასსაც დაისაკუთრებს.

გამარჯვებულმა მწვრთნელმა საზერმა განაცხადა: „ძალიან ცუდია, რომ ვიღაცას უნდა წაეგო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ჩვენ არ აღმოვჩნდით“.

**სამველ ლარიბიანი**




მეორე პერიოდი. ჯონ ლეკლერი ანგარიშის გათანაბრებას ულოცავს დერიან ჰეჩერს

# ამოვქაჩავთ 7 ქულას?

კორაჩის თასი. წინასწარი წრე. I მატჩი

**დინამო (თბილისი, საქართველო) — ოლიმპასი (პლუნგე, ლიტვა) 73:80 (33:46)**

თბილისი. სპორტის სასახლე. 11 სექტემბერი. 4 000 მაყურებელი

მსაჯები: რომან რიჟიკი (უკრაინა), ოტს მასალუ (ტალინი).

| დინამო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ. | საჯარიმო ხულ | საჯარიმო ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 დარსაძე | 13 | 1 | — | — | — | 8 | 7 | 2 |
| 5 მაისურაძე | — | 1 | — | 2 | — | — | — | — |
| 8 ბეჟანიშვილი | 6 | 6 | — | — | — | 2 | — | 5 |
| 13 კილაძე | 12 | 9 | 1 | — | — | 4 | 1 | 3 |
| 14 ბერძენიშვილი | 14 | 3 | — | 2 | — | 14 | 8 | 5 |
| 15 ცხვედიანი | 9 | 3 | — | — | — | 4 | 3 | 2 |
| 11 ოთიურიძე | 9 | 6 | — | 2 | — | 6 | 3 | — |
| 7 ხოშტარია | 2 | — | 1 | — | — | — | — | 1 |
| 6 ჩერქეზიშვილი | 8 | 2 | 1 | 1 | — | 3 | 2 | 2 |
| ხულ | 73 | 31 | 3 | 7 | — | 41 | 24 | 20 |
| **ოლიმპასი** | **ქულა** | **მოხსნა** | **პასი** | **ჩაჭრა** | **დაფარ.** | **საჯარიმო ხულ** | **საჯარიმო ჩაგდება** | **ფოლი** |
| 10 ვაშკისი | 11 | 3 | 2 | — | — | 2 | 2 | 5 |
| 7 მიგლინიეკსი | 2 | 7 | — | — | — | — | — | 5 |
| 5 სტაუგაიტისი | 26 | 3 | — | 3 | — | 8 | 8 | 3 |
| 9 პრანცკევიჩუსი | 2 | 8 | — | — | — | 2 | 2 | 4 |
| 14 მილიუნასი | 11 | 4 | — | — | 1 | 7 | 4 | 5 |
| 8 ვენსკუნასი | 12 | 4 | — | — | — | 2 | 2 | 3 |
| 11 ამანკავიჩუსი | 2 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 |
| ხულ | 80 | 33 | 5 | 4 | 1 | 23 | 19 | 29 |

•

1994 წლის შემდეგ, რაც ქართული გუნდები ევროპული თასების მატჩებს თბილისში ატარებენ, „ნაღდი უცხოური" გუნდი არ გვწვევია. ეს ტრადიცია 17 სექტემბერს დაირღვევა, როცა „ვითასთან" სათამაშოდ უნგრული „კიორმენი" ჩამოვა. გუშინ კი მორიგი ყოფილი მოძმის — ლიტვის გუნდი სტუმრობდა სპორტის სასახლეს. თუკი ასეთს ვითამაშებთ, ფიბა მსაჯებად და კომისრებადაც ძირითადად ექს-საბჭოელებს გვიგზავნის ხოლმე. ასე იყო გუშინაც და ამის გამო ძველ ნაცნობ-მეგობართა მიერ ერთმანეთის მოკითხვამ და ხვევნა-კოცნამ დიდი დრო წაიღო. ესტონელ არბიტრს ოტს მასალუს „მცირეწლოვნობის" გამო ჩვენში თითქმის არავინ იცნობდა. სამაგიეროდ, მეორე მსაჯი — კიეველი რომან რიჟიკი მაყურებელსაც კარგად ახსოვს კიევის „სტროიტელიდან" და, ცხადია, ყოფილ კალათბურთელებსაც. ამიტომაც იყო, რიჟიკი ჯერ კიდევ მოთელვაზე გასვლამდე ვერ აუვიდა სალამ-ქალამს, ხოლო მსაჯთა მაგიდასთან მისულმა შესძახა, „ზდრავსტვუიწე, წიოწია ლიზაო" და ჩვენს ღვაწლმოსილ მატჩის მდივანს ქალბატონ ლიზა აზიზოვას დიდი ხნის უნახავი შვილივით გადაეხვია. კომისრად ყაზანელი თათარი გაბდელნურ მუხამეძიანოვი იყო. მას არაერთხელ უმსაჯია თბილისში და, თუ ძველი თაობის კალათბურთელებისას ვირწმუნებთ, განსაკუთრებით ჰყვარებია აქაურებთან მოლხენაქეიფი. ჰოდა, რა გასაკვირია, ამგვარმა კაცმა მატჩისწინა პერიოდი მთლიანად ძველი ამბების მოგონება-გახსენებაში რომ გალია. ესენი კი მხიარულობდნენ, მაგრამ დინამოელებს სასაცილოდ სულაც არ ჰქონდათ საქმე. ამის მიზეზი მათი ცენტრი ამირან (ბაჩო) სხიერელი იყო. როცა მისი თანაგუნდელები გასახდელში მატჩისთვის ემზადებოდნენ, იგი ჯერ სასახლის ფოიეში სეირნობდა, შემდეგ ტრიბუნაზე გადავიდა, ბოლოს კი გულმა არ მოუთმინა და სათადარიგოთა სკამს მიუჯდა. ბაჩოს ამ დღეს თამაში არ ეწერა — ფიბამ არ მისცა უფლება. როცა დინამოელებმა ამ ორგანიზაციაში კალათბურთელთა მონაცემები გაგზავნეს, პასუხად მიიღეს — სხიერელის პასპორტში რაღაც გაუგებრობაა და შესწორებული გამოგვიგზავნეთო. თბილისელებს ორჯერ გაუგზავნიათ პასუხი: ერთხელ სწრაფი ფოსტით, მეორედ — ფაქსით, მაგრამ ფიბასგან ვერანაირ შეტყობინებას ვერ ელირსნენ. გუშინაც შეეხმიანენ — ყველაფერი წესრიგში გვაქვსო, მაგრამ სხიერელი მაინც ლიცენზიის გარეშე დარჩა. ამით „დინამომ" მეორე ცენტრი მოისაკლისა და იძულებული გახდა, განაცხადში შოთა მაჭარაძე შეეყვანა.

„ოლიმპასში" თამაშობდა კაცი, რომელიც თავის დროზე შიშის ზარს სცემდა საკალათბურთო სამყაროს. სეულში მას გამწარებული ჰყავს ნბა-ს დღევანდელი ვარსკვლავები მიტჩ რიჩმონდი და დან მარლი, სხვები კი, მაგალითად, კუკოჩი, ზდოვცი და ობრადოვიჩი ლუკმადაც არ ეყო. საუბარი ოლიმპიურ ჩემპიონ, ლატვიელ იგორს მიგლინიეკსზეა, რომელიც დროების ცვალობადობის გამო სახლიდან ასი კილომეტრით დაშორებული ქალაქის კლუბში ლეგიონერად ითვლება. მართალია, თავისი თავის აჩრდილიც კი აღარაა და ვისაც მისი თამაში არ ახსოვს, იქნებ სულაც ვერ გამოარჩია დანარჩენი თანაგუნდელებისგან, მაგრამ სახელი — სახელია, ზოგჯერ მისი ჯადოც კი თავისას შვრება.

თუმცა, ალალად ვთქვათ და „ოლიმპასს" გამარჯვებისთვის სულაც არ დასჭირვებია მიგლინიეკსის „დამშინებლად" გამოყენება. გუშინ ვიხილეთ ერთობ თანაბარი, მაგრამ რიგიანად გაწვრთნილ-ნასწავლი გუნდი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულ დავალებას მკაცრი სქემის მიხედვით ასრულებდა. ამას დაუმატეთ ბალტიელთათვის დამახასიათებელი ორგანიზებულობა და… მიუხედავად ამისა, „ოლიმპასი" არ იყო ამ ლიტვურ გუნდთაგან უძლიერესი, რომლებიც ოდესმე გვინახავს. მაგრამ დღევანდელი „დინამო" წინანდელზე ძლიერია? თუმცა, ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა, რომლის ფესვებიც შორს და ღრმადაა ჩადგმული.

ანგარიში მეექვსე წამზე სამქულიანით მიგლინიეკსის თაობის წარმომადგენელმა გელა დარსაძემ გახსნა. საწყისი სროლა მშვიდად და „მტკიცე ხელით" იყო შესრულებული. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ დინამოელები თავის კაპიტანს კვლავ ხშირად შეუქმნიდნენ ამის გაკეთების საშუალებას. გადაწყვეტილება კი სრულიად განსხვავებული მიიღეს — ბურთის შეტანა ფარქვეშ, თამაში ბერძენიშვილზე. თბილისელთა ცენტრმა ორჯერ კიააკიდებინა მეტოქეებს პერსონალურები და თავიდან საჯარიმოებიც გამოიყენა, მაგრამ თამაშიდან ვერ ჩააგდო. ლიტველებს გამთამაშებლად ჯერ ვაშკისი ეყენათ. დარსაძე მსროლელად გამწესებულ მიგლინიეკსს მეურვეობდა და საკმაოდ რიგიანადაც. იგორსმა იგრძნო ეს და ვაშკისს ადგილი გაუცვალა — ამით ბურთის „თრევის" საშუალებაც მიეცა და თან დარსაძე გარეთ გამოიტყუა. ერთი-ორჯერ მიგლინიეკსმა ფარქვეშ დროულად მოძებნა პარტნიორები, მაგრამ ამათ ქმედებას სანიმუშო ნაღდად არ ეთქმოდა: რამდენჯერმე მათი მოკლე პასები დინამოელთა ლუკმად შეიქნა. მაგრამ რად გინდა? ქართველები ჩქარობდნენ და ნაბოძებ საჩუქრებს ქარს ატანდნენ. ირაკლი მაისურაძემ ორი ბურთი ჩაჭრა. ამ ნიჭიერი, მაგრამ ემოციური კალათბურთელისთვის ეს მატჩი სადებიუტო იყო ევროთასებზე. ალბათ ამით აიხსნება მისი ნერვიულობა, რის გამო მან ვერც თავის ადგილი იპოვა და ვერც თავისი თამაში „დაიჭირა". მოსეშვილმა იგი მეშვიდე წუთზე ცხვედიანით შეცვალა. შალვა კარგად ჩაერთო თამაშში, ოღონდ მისი გუნდი ოთხ ქულაზე მეტით ვერაფრით გადიოდა წინ. აღელდა ბეჟანიშვილიც — ზედიზედ ორჯერ ააცილა (ერთხელ „მალაკოც" გააკეთა), ამასობაში ლიტველები დალაგდნენ და მილიუნასის გარღვევის შემდეგ 14:13 დაწინაურდნენ.

ჩვენს დაცვაში ბზარები თავიდანვე ჩანდა. ოლიმპიელები ნამეტანი იოლად შედიოდნენ სამწამიან ზონაში და ფარქვეშ. მათგან გამკლავება ბერძენიშვილს, ფაქტიურად, მარტოს უწევდა. შედეგი: მეცხრე წუთზე დათოს უკვე სამი პერსონალური ჰქონდა, ხოლო მე-14-ზე — ოთხი. ამით თბილისელთა ცენტრის დაცვითი შესაძლებლობები მაქსიმალურად შეიზღუდა. ლიტველებმა კარგად გამოიყენეს ეს — გარღვევებს ფლანგებიდან აღარ აწყობდნენ და მაინცდამაინც შუიდან შემოდიოდნენ. მეტოქე ნელ-ნელა წინ მიიწევდა, ჩვენები კი ერთხანს ნორმალურად მისდევდნენ. სამწუხარო ის იყო, რომ ყველაფერი ეს უსისტემოდ, თავისთავად ხდებოდა — დარსაძის და ცხვედიანის სამქულიანები უფრო ბედად ჩავარდნილებს ჰგავდა. იმატა შეცდომებმაც: ბურთის ხელიდან გავარდნებმა, აუტში გადავარდნებმა და მისთანებმა.

ტაიმის მიწურულისკენ მოედანზე სამი უკანახაზელი გვყავდა — დარსაძე, ცხვედიანი და ხოშტარია. შორიდან სროლა ხამივეს შეუძლია, მაგრამ პასები მაინც ფარქვეშ მიდიოდა. სროლა კილაძემ ითავა — სამქულიანი ხაზის მიღმა შეგნებულად გავიდა და ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა — 28:29. იქვე ვენსკუნასი შეტევაში დაჯარიმდა და ჩვენებს დაწინაურების შანსი მიეცათ: კილაძემ მარცხენა ფლანგიდან ისროლა, მაგრამ ლიტველებმა ბურთი მოხსნეს და იმავე ვენსკულასმა აქეთ ჩაგვიგდო კაუჭი. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ წინ გასვლის საშუალების ამგვარად იოლმა დაკარგვამ დინამოელები ფსიქოლოგიურად გატეხა. კვლავ გაუჩნდა ბევრი შეცდომა როგორც დაცვაში, ისევე შეტევაში. ტაიმის ბოლო სამი წუთი ხომ ნამდვილ კოშმარად გვექცა. გალაღებული ოლიმპასელები ჩიტებივით დაძვრებოდნენ დაბნეულ დინამოელებს შორის და 12 უპასუხო ქულა ჩააგდეს.

მეორე ტაიმი „დინამომ" ოდნავ შეცვლილი უკანა ხაზით დაიწყო: მაისურაძის ნაცვლად მოედანზე ნიკო ჩერქეზიშვილი გამოჩნდა და დარსაძეს შეუამხანაგდა. ცხვედიანიც თავიდანვე იყო და მისი წყალობით მეორე ტაიმიც პირველის ანალოგიურად — გამოზომილი სამქულიანით დაიწყო. საუბედუროდ, თბილისელებს გამოცოცხლება დაეტყო და შესვენებამდელი შოკიდანაც თითქოს უპრობლემოდ გამოვიდნენ. სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ოთიურიძემ ორჯერ ეშმაკურად ჩამოიტოვა მეურვე და ფარზეც შევიდა. პირველად მარტივი მდგომარეობიდან ააცილა, ხოლო მეორედ მილიუნასმა დაუფარა. ამ პერიოდში ფარი მთლად დავთმეთ. კაცი იფიქრებდა, მოედანზე მხოლოდ სტუმრები არიანო, რადგან ფარქვეშ მხოლოდ მათი მწვანე-ყვითელი ფორმა შეინიშნებოდა.

დაცვაში „ოლიმპასი" დროგამოშვებით ცვლიდა ზონურ და პერსონალურ დაცვას. ამ გადაწყობებით დინამოელებს ფარქვეშ შესვლაც უჭირდათ და არც სამქულიანის სროლის საშუალება ეძლეოდათ იოლად. ჩვენები იძულებულნი იყვნენ, ბევრი პასი ეკეთებინათ და მეტოქის დაცვაში გაჩენილი ხვრელების იმედად ყოფილიყვნენ. ჩვენებს კი ძალიან არ უყვართ ამგვარი თამაში. ამიტომაც, ბევრი ბურთი დაიკარგა. სამაგიეროდ, ქართველებმა ალღო აუღეს ლიტველთა შეტევებს. მათ ზონა დააყენეს და მეტოქეს შიგნით შესვლას იოლად აღარ ანებებდნენ. იყო ერთი-ორი შეცდომა, მაგრამ წინანდელებთან რა შედარება იყო! სტუმრებმა გამოსავალი იოლად იპოვეს — სამქულიანები. ჯერ ვაშკისმა ივარგა, შემდეგ კი მის ნაცვლად შემოსულმა ზაბარაუსკასმა. ვაშკისიმ კი იმად შეცვალეს, რომ მეოთხე პერსონალური მიიღო. ასევე ოთხჯერ იყო დაჯარიმებული მიგლინიეკსიც, რომელიც უკვე უფრო მორალურ და სიტყვიერ ხელმძღვანელობას უწევდა თანაგუნდელებს.

მაგრამ ლიტველები საფუძვლიანად წინ გასვლას ვერ ახერხებდნენ. ტაიმის დასაწყისში დაფიქსირებული 9-11-ქულიანი სხვაობა კლავინდებურად შენარჩუნებული იყო. ამასობაში მოსახდენიც მოხდა — ბერძენიშვილმა მე-5 პერსონალური მიიღო და მოედანი დატოვა. ამის ერთგვარი კომპენსაცია ქართველებმა დამთავრებამდე 6.47 წუთით ადრე მიიღეს: მოედანზე დაბრუნებული ვაშკისი შემოსვლისთანავე დაჯარიმდა და სკამისკენ ამჯერად საბოლოოდ გასწია. ამ დროს ანგარიში 56:67 იყო. თამაში ძველებურად მიმდინარეობდა და დინამოელთათვის არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა. და ამ დროს მოხდა პატარა აფეთქება. უფრო სწორედ, ჩვენები ვა-ბანკ წავიდნენ და დარსაძემ და ჩერქეზიშვილმა იმდენი ქნეს, რომ დამთავრებამდე 3.30 წუთით ადრე სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს — 62:67. ეს ხუთქულიანი დისტანცია რამდენჯერმე იქნა დარღვეულ-აღდგენილი. მატჩის ბოლოს კი რამდენიმე მონაკვეთის გამოყოფა ვარჩიეთ, რათა ნათლად წარმოგიდგინოთ ის დაძაბულობა, მოედანზე რომ სუფევდა.

2,49 წუთი დამთავრებამდე: მილიუნასი აულელვებლად ამთავრებს თანაგუნდელების მრავალსვლიან, ხანგრძლივ, თითქმის 30 წამიან კომბინაციას — 64:71.

2,31: კილაძე ჯიქურ მიიწევს ფარისკენ და კალათში ათავსებს ხოშტარიას პასს — 66:71.

2,26: შეტევით გართულ დინამოელებს დაცვა მიავიწყდათ და გამოეპარათ სტაუგაიტისის სწრაფი გარღვევა — 66:73.

2,08: ოთიურიძე ჯანით ჩაგრავს მილიუნასს, მხრით აეიწროვებს და ანგარიშს კვლავ 5 ქულამდე ამცირებს — 68:73.

1,33: ზაბარაუსკასი სამქულიანს აგდებს და პრაქტიკულად წყვეტს მატჩის ბედს — 68:76.

1,14: ჩერქეზიშვილის ნასროლს მილიუნასი ხსნის, შორს აგდებს და მიგლინიეკსი შეტევას იწყებს.

0,58: ოთიურიძე ფარქვეშაა. მილიუნასი ჯარიმდება, იღებს მეხუთე პერსონალურს და ვარდება. ოთიურიძე ერთ საჯარიმოს აგდებს, მეორეს კი აცილებს. ფარიდან გადმოვარდნილ ბურთს იღებს კილაძე და ამატებს — 71:76.

0,42: დინამოელებმა კვლავ უპატრონოდ დატოვეს კაცი. ახალშემოსული ამანკავიჩუსი მარტოდ რჩება ფარზე — 71:78.

0,15: „ოლიმპასის" მწვრთნელი გედრაიტისი წუთშესვენებას იღებს.

0,05: ზაბარაუსკასი მარჯვენა ფრთიდან აღწევს მიზანს — 71:80.

0,01: ჩერქეზიშვილი გარღვევის გაკეთებას ცდილობს, შემდეგ გადაიფიქრებს და სამქულიანის სასროლად აიწევა… ჩერქეზიშვილი სამი საჯარიმოდან ორს აგდებს და მესამე აცდენილის დასამატებლად დრო აღარ რჩება — 73:80.

საპასუხო მატჩი პლუნგეში 18 სექტემბერს გაიმართება. ლიტველებ[illegible]7-ქულიანი მარაგით გამოვლენ საშინაო თამაშზე, რაც, თავისთავად უკვე უპირატესობაა. ალბათ, „ოლიმპასი" ორი მატჩის ჯამში დაძლევს წინასწარ წრეს და ქვეჯგუფში თამაშის უფლებას მოიპოვებს. ძნელი სავარაუდოა, რომ „დინამომ" პლუნგეში ამ დეფიციტის გაბათილება შეძლოს. გუშინდელი მატჩის მიხედვით, დინამოელები არ არიან მზად ევროთასებზე წარმატების მიღწევისთვის. თუმცა…

ნეტავ შევცდეთ!

**მერაბ რატიშვილი**

## მატჩის შემდეგ

**ლევან მოსეშვილი**

ჩვენმა გუნდმა დავალება მხოლოდ 30 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით ცუდად დინამოელებმა თავდასხმაში ითამაშეს პირველ ტაიმში. გუნდი, რომელიც ტაიმში 33 ქულაზე მეტს ვერ მოიპოვებს, წაგებისთვისაა განწირული. ძალზე ცუდად ვითამაშეთ ფარზე და ფიზიკური უპირატესობაც ლიტველთა მხარეს იყო. მათ ჩვენი ყველა შეცდომა მაქსიმალურად გამოიყენეს.

მსაჯობის შესახებ ვერ ვიტყვი, მთლად უკმაყოფილო ვარ-მეთქი. მაგრამ უკრაინელმა მსაჯმა რიჟიკმა მეტად პრინციპულ მომენტში მეორე ტაიმში, როცა ჩვენებმა შეამცირეს სხვაობა, 3-4 უხეში შეცდომა დაუშვეს.

ძალზე იმოქმედა თამაშზე დასაწყისში მაისურაძის ნერვიულობამ. ჩერქეზიშვილის კმაყოფილი ვარ, მაგრამ პირველ ტაიმში მის გამოყვანას იმიტომ მოვერიდე, რომ სასტარტო ხუთეულში ერთი ტანდაბალი მოთამაშის ატანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ორი უკვე ნამეტანია. ამიტომ დარსაძესა და ჩერქეზიშვილს ერთად ძალზე გაუჭირდებოდათ მეტოქის მაღალ უკანა ხაზთან თამაში.

მეორე თამაშში ჩვენი გამარჯვების შანსი მცირეა, მაგრამ ყველაფერი ხდება. იმ დროისთვის დაგვემატება ვაშაკიძეც, რომელიც ტრავმის გამო არ თამაშობდა.

**გენრიკას გედრაიტისი**

ქარ[illegible]ველებთან გამარჯვება ყოველთვის ძნელ[illegible] როგორ ფორმაშიც არ უნდა იყვნენ და [illegible]ონეზეც არ უნდა თამაშობდნენ. პირველ ტაიმში სწრაფი შეტევები კარგად გამოგვივიდა და ქულათა მარაგიც შევიქმენით. მერე თბილისელთა ზონურმა დაცვამ ცოტა შეგვაშინა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. ჩვენი გუნდიდან გამოვარჩევდი სტაუგაიტისს.

საპასუხო მატჩისთვის შეიძლება დაჰპიმატოთ ამერიკელი კალათბურთელი. ჩვენ კმაყოფილნი ვართ შედეგით. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ყველაფერი გადაწყვეტილი არაა და ამიტომაც მეორე თამაშსაც მთელი სერიოზულობით მივუდგებით.

**კოტე მგალობლიშვილი**



## ხაბარელი მწვრთნელად დანიშნული

გუშინწინ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ოფიციალურად დაენიშნა მთავარი მწვრთნელი. როგორც „სარბიელი" ადრე წინათ ივარაუდა და როგორც ძიუდოს სამყარო ელოდა, ამ პოსტზე შოთა ხაბარელი იმუშავებს. ამგვარად, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ხუთწლიანი განშორების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ეროვნულ გუნდს. ხაბარელის ხელმძღვანელობით ნაკრები ორშაბათიდან დაიწყებს ვარჯიშს.

## მსოფლიოზე წამსვლელები გაირკვნენ

გუშინ ვაკეში, ძიუდოს დარბაზში გაიმართა მსოფლიოს ახალგაზრდული (20 წლამდე) ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება, რომელსაც პორტუგალიაში წამსვლელები უნდა გაერკვია. ასპარეზობამ საკმაოდ ბევრ მაყურებელს მოუყარა თავი — მათ შორის სახელოვან ვეტერანებს და საქართველოს უფროსთა ნაკრების ყველა წევრს (ზაზა ლეიშვილის გარდა). შეჯიბრებას ესწრებოდა ნაკრების ახლადდანიშნული მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, ხოლო მისმა წინამორბედმა ბერდია გუგავამ, რომელიც სპორტსაზოგადოება „შევარდენს" ხელმძღვანელობს, გამარჯვებულთათვის ფულადი პრიზები დააწესა.

თითქმის ყველა წონაში 4-5 ძიუდოისტი ასპარეზობდა. გამონაკლისი მხოლოდ 86 და 95 კგ-ები გახლდათ — ორ-ორი მონაწილე. სწორედ ამ წყვილებში გამარჯვებულები ილებდნენ მსოფლიოს. ჩემპიონატის საგზურებს 86 კგ-ში ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეს გიორგი წმინდაშვილს ზაზა გულბიანი დაეჭიდა. წმინდაშვილმა მშვიდად იჭიდავა და ორი იუკოთი და ვაზარით გაიმარჯვა. 95 კგ-ში ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ ივერი ჯიქურაულს არ გასჭირვებია იუზა ბოლქვაძის დამარცხება.

დანარჩენ წონებში შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა. შესანიშნავად იჭიდავა გიორგი ნადირაშვილმა (71 კგ), რომელიც მხოლოდ 17 წლისაა. მან ყველა მეტოქეს მოუგო და ბევრისთვის მოულოდნელად პორტუგალიაში გაემგზავრება. 78 კგ-ში ფინალი, ფაქტიურად, მეორე წრეში შედგა, სადაც ლევან ციგრიაშვილმა ხანტეით დაამარცხა გიორგი ჭაბუკაშვილი. საგარეჯოელები ორ ფალავანს მიავლენენ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. მამუკა მათიაშვილს (60 კგ) ბოლო წრეში მძიმე შეხვედრამ უწია ანზორ ზაუტაშვილთან. საგარეჯოელმა ჯერ კოკა დაიმსახურა, შემდეგ მეტოქე ცოტა ხნით შებოჭვაზე ეჭირა და ანალოგიური შეფასება მიიღო. შეხვედრის ბოლოს კი „წისქვილით" იუკოც ჩაიწერა. ქართლოს თედიაშვილის (65 კგ) მთავარი მეტოქე კი ქუთაისელი ვასილ მერაბიშვილი იყო, ცნობილი მწვრთნელის, არაერთი სახელოვანი ფალავნის აღმზრდელის ომარ მერაბიშვილის ვაჟი. ამათი დაძაბული ბრძოლა თედიაშვილის გამარჯვებით დასრულდა. მძიმე წონაში კი რატი ფერაძემ დიდი დაბრკოლებების გარეშე გაიმარჯვა.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის კომენტარი ვთხოვეთ ოლიმპიურ ჩემპიონს, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს: „გამარჯვებულთა მომზადების დონეზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, უშუალოდ შეჯიბრების წინ კიდევ შეიძლება რამის თქმა. თუმცა, ამ ბიჭების შემყურე ვფიქრობ, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის. მომავალი გვყავს. ეს სწორედ ის თაობაა, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე უნდა იასპარეზოს. ამდენად, ეს ძიუდოისტები ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. ახალგაზრდებთან ერთად პორტუგალიაში მეც გავემგზავრები და მათ საქმეში ვნახავ".

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ჯემალ ნათელაშვილმა გვითხრა, რომ ჩემპიონატის საგზურები სწორედ იმ ძიუდოისტებმა მოიპოვეს, ვისზეც წინა შეჯიბრებებიდან გამომდინარე (საქართველოს ჩემპიონატი, ჯიბილო ნიჟარაძის ტურნირი) ამყარებდნენ იმედს. 18 სექტემბრიდან გუნდი საგარეჯოში დაიწყებს შეკრებას, 30 სექტემბერს კი გაფრინდება პორტუში, სადაც 3 ოქტომბრიდან მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი დაიწყება.

**ტექნიკური შედეგები**

60 კგ. 1. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო), 2. ანზორ ზაუტაშვილი (გორი), 3. მერაბ იოსებაშვილი (ახმეტა)

65 კგ. 1. ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო), 2. ვასილ მერაბიშვილი (ქუთაისი), 3. დავით ტატანაშვილი (გორი)

71 კგ. 1. გიორგი ნადირაშვილი (თბილისი), 2. ნუკრი ვარდანაშვილი (თბილისი), 3. ემზარ რაზმაძე (გორი)

78 კგ. 1. ლევან ციგრიაშვილი (თბილისი), 2. გიორგი ჭაბუკაშვილი (გორი), 3. ბესიკ მუმლაძე (დმანისი)

86 კგ. 1. გიორგი წმინდაშვილი (თელავი), 2. ზაზა გულბიანი (ქუთაისი)

95 კგ. 1. ივერი ჯიქურაული (დუშეთი), 2. იუზა ბოლქვაძე (თბილისი)

მძიმე წონა. 1. რატი ფერაძე (ზესტაფონი), 2. ლევან გაგნიძე (თბილისი), 3. ლაშა ცხვარიაშვილი (საგარეჯო)

# სარბიელი

# სპორტული ლატარეა "CROCO"

## თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნიმი (საფრანგეთი) — ჰონვედი (უნგრეთი) | (1,25-3,1) | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| შტურმი (ავსტრია) — სპარტა (ჩეხეთი) | (1,55-1,9) | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| კონსტრუქტორული (მოლდოვა) — გალათასარაი (თურქეთი) | (10,0-—) | 5,0 | 3,2 | 1,35 |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ც. ზვეზდა (იუგოსლავია) | (1,2-3,5) | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| მიუპა (ფინეთი) — ლივერპული (ინგლისი) | (10,0-—) | 6,5 | 3,3 | 1,25 |
| სიონი (შვეიცარია) — ნივა (უკრაინა) | (1,1-5,0) | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ორჰუსი (დანია) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,4-2,3) | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| სერკლ ბრიუგე (ბელგია) — ბრანი (ნორვეგია) | (1,2-3,5) | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,3-2,8) | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| რეიკიავიკი (ისლანდია) — აიკი (შვედეთი) | (5,0-1,1) | 3,8 | 3,1 | 1,5 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — ლარნაკა (კვიპროსი) | (—-50,0) | 1,05 | 6,0 | 20,0 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — რუხი (პოლონეთი) | (1,1-5,0) | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| აეკ (საბერძნეთი) — ჰემლონი (სლოვაკეთი) | (1,15-4,0) | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| გლორია (რუმინეთი) — ფიორენტინა (იტალია) | (10,0-—) | 3,6 | 2,9 | 1,6 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) — პსჟ (საფრანგეთი) | (100,0-—) | 20,0 | 6,0 | 1,05 |

## გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მეექვსე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 სექტემბერი | | | |
| ვერდერი — ბოხუმი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ფორტუნა — ჰანზა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| 14 სექტემბერი | | | |
| დორტმუნდი — შტუტგარტი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კარლსრუე — დუისბურგი | 1,1 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| შალკე — ბაიერნი | 4,0 | 3,2 | 1,45 |
| არმინია — ლევერკუზენი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კიოლნი — მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| 15 სექტემბერი | | | |
| ჰამბურგი — ზანქტ პაული | 1,3 | 3,1 | 6,0 |

## გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. მეექვსე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 სექტემბერი | | | |
| მაინცი — ოლდენბურგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 14 სექტემბერი | | | |
| ურდინგენი — ლიუბეკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| შტუტგარტერ კიკერსი — მანჰაიმი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ლაიფციგი — გუტერსლოჰი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ჰერტა — როტ ვაისი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| 15 სექტემბერი | | | |
| კარლ ცაისი — ცვიკაუ | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| უნტერჰახინგი — აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| მეპენი — ფორტუნა (კიოლნი) | 1,45 | 3,0 | 4,4 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მეექვსე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 სექტემბერი | | | |
| ქოვენთრი — ლიდსი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| დერბი ქაუნთი — სანდერლენდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ევერტონი — მიდლსბრო | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ნოტინგემი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| საუთჰემპტონი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 1,45 | 3,2 | 4,0 |
| 15 სექტემბერი | | | |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ლესტერი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| 16 სექტემბერი | | | |
| არსენალი — შეფილდ უენსდეი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |

## ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მეშვიდე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14-15 სექტემბერი | | | |
| ბარნსლი — ქუინზ პარკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| კრისტალ პალასი — მანჩესტერ სიტი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ბირმინგემი — სტოკ სიტი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ოქსფორდი — ბრედფორდი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ვესტ ბრომვიჩი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ბოლტონი — პორტსმუთი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ჩარლტონი — რედინგი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ჰადერსფილდი — ოლდემი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ნორვიჩი — საუთენდი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| პორტ ველი — გრიმსბი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| სვინდონი — ტრანმერი | 1,4 | 3,1 | 4,7 |

## შოტლანდიის ჩემპიონატი. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 სექტემბერი | | | |
| აბერდინი — კილმარნოკი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,35 |
| რეინჯერსი — ჰარტსი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ჰიბერნიანი — რეით როვერსი | 1,15 | 3,8 | 8,0 |

## საფრანგეთის ჩემპიონატი. მეშვიდე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 სექტემბერი | | | |
| მონაკო — ლიონი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| მონპელიე — ლე ავრი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ნანტი — მეცი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| სტრასბური — ბასტია | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| გინგამი — ლანსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| კანი — პარი სენ-ჟერმენი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ბორდო — ლილი | 1,25 | 3,8 | 6,0 |
| კაენი — რენი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| მარსელი — ნიცა | 1,1 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ნანსი — ოსერი | 3,4 | 3,0 | 1,6 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 სექტემბერი | | | |
| ატალანტა — ფიორენტინა | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| ინტერი — პერუჯა | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| იუვენტუსი — კალიარი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლაციო — უდინეზე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ნაპოლი — რეჯანა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| პიაჩენცა — პარმა | 4,4 | 3,4 | 1,35 |
| სამპდორია — მილანი | 3,2 | 2,9 | 1,7 |
| ვერონა — ბოლონია | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ვიჩენცა — რომა | 1,9 | 2,6 | 3,0 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 სექტემბერი | | | |
| კრემონეზე — ჯენოა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ვენეცია — ტორინო | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| 15 სექტემბერი | | | |
| ბრეშია — პალერმო | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ჩეზენა — რეჯინა | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| კოზენცა — ბარი | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| ემპოლი — სალერნიტანა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ფოჯა — დი სანგრო | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ლეჩე — პადოვა | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლუკეზე — კიევო | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| პესკარა — რავენა | 1,3 | 3,0 | 6,5 |

## ესპანეთის ჩემპიონატი. მესამე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 სექტემბერი | | | |
| კომპოსტელა — ლოგრონიესი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ტენერიფე — სევილია | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| სარაგოსა — ვალენსია | 1,8 | 2,6 | 3,4 |
| სოსიედადი — სპორტინგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| რასინგი — ბარსელონა | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| ესპანიოლი — ვალიადოლიდი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ოვიედო — ბილბაო | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| რაიო ვალეკანო — ესტრემადურა | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ბეტისი — რეალი | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| ერკულესი — სელტა | 1,8 | 2,7 | 3,1 |
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,4 | 3,0 | 5,0 |

## პორტუგალიის ჩემპიონატი. მესამე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 სექტემბერი | | | |
| ბრაგა — ჟილ ვისენტე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ბენფიკა — სეტუბალი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| გიმარაეში — ლეირია | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| პორტუ — შავეში | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ლეცა — სალგეირუში | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| მარიტიმუ — ამადორა | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| რიო ავე — სპორტინგი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| ფარენსე — ბოავიშტა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბელენენსეში — ესპინიუ | 1,35 | 3,1 | 5,3 |

## რუსეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 სექტემბერი | | | |
| ჩერნომორეცი — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — ზენიტი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| როტორი — როსტსელმაში | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლადა — დინამო | 4,2 | 3,3 | 1,4 |
| ტექსტილშჩიკი — კამაზი | 1,7 | 3,0 | 3,1 |
| ლოკომოტივი (ნოვგოროდი) — სპარტაკი | 4,7 | 3,3 | 1,35 |
| კრილია სოვეტოვი — ურალმაში | 1,2 | 3,6 | 6,5 |
| 15 სექტემბერი | | | |
| ბალტიკა — ალანია | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| ცსკა — ტორპედო | 1,7 | 2,9 | 3,2 |

## სხვადასხვა

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 სექტემბერი | | | |
| ტრაბზონსფორი — ანთალიასფორი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ვიტესი — ჰერენვენი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 14 სექტემბერი | | | |
| ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| სერკლ ბრიუგე — ლოკერენი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| გრასჰოპერი — სიონი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| სერვეტი — ქსამაქსი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ბაზელი — არაუ | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| აუსტრია — ზალცბურგი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| შტურმი — ტიროლი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| რაპიდი — ადმირა ვაკერი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 15 სექტემბერი | | | |
| ისტანბულსფორი — ბურსასფორი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ტვენტე — ფეიენოორდი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| აიაქსი — სპარტა | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| სტანდარდი — ეკერენი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| მოლენბეკი — ბრიუგე | 2,1 | 2,6 | 2,6 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა (უმაღლესი ჯგუფები)
გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
საფრანგეთი. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30. და მეტი — 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ამ კვირას ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

# ჩამქრალ ვარსკვლავთა კაშკაში



ალექსანდრ პოპოვი და გერი ჰოლი

### უმცროსი ჰოლი უფროსი ჰოლის დამმწუხრებელი და გამხარებელი

უმცროსი გერი ჰოლი, ისე როგორც უფროსი — მამამისი გერი ჰოლი — ასევე მოცურავე, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (200 მეტრზე ბატერფლაით) მეორე ადგილზე გავიდა.

მაგრამ უმცროსმა გერი ჰოლმა მაინც გაახარა უფროსი გერი ჰოლი, როცა ორი დღის მერე ნებისმიერი სტილით 4X100 მეტრზე ესტაფეტაში თანაგუნდელ ჯონ ოლსენთან, ჯოშ დევისთან, ბრედლი შუმახერთან ერთად ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც თანამემამულეთა მიერ სეულში დამყარებული ოლიმპიური რეკორდი (3.16,53) გააუმჯობესა (3.15,42).

საინტერესოა, რომ ამერიკელებმა მსოფლიო რეკორდიც (3.15,11) ამავე აუზში დაამყარეს, ოღონდ შარშანდელ ზაფხულს.

მაგრამ გარი ჰოლის ატლანტური ნადავლი ამით არ ამოწურულა. მან შეჯიბრების ბოლო დღეს, ბოლო სახეობაში 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში თანაგუნდელ ჯეფ როუზთან, ჯერემი ლინთან, მარკ ჰენდერსონთან ერთად ასპარეზობისას ბოლო ეტაპზე წერტილი დაუსვა არა მხოლოდ ამ „კვარტეტის" ტრიუმფს, არამედ საერთოდ ამერიკელ მოცურავეთა მთელი გუნდის გამარჯვებასაც. ეს წერტილი მეტად შთამბეჭდავი გამოდგა. გამოდგა, რადგან სეულში ამერიკელთა მიერ დამყარებული ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები (3.36,93) ახლა გაუმჯობესდა. ამერიკელებმა ატლანტაში 3.34,84 აჩვენეს.

საინტერესოა, რომ ამერიკელები ფინალში სულ სხვა შემადგენლობამ გაიყვანა. ამერიკა ერთადერთი იყო, ვინც წინასწარ გაცურვაში მოასპარეზე „კვარტეტის" შემადგენლობა მთლიანად გამოცვალა (ასეთი ფუფუნების საშუალება სხვას არავის აღმოაჩნდა). ამან, რაღა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მსოფლიო რეკორდის დამყარებას.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ ესტაფეტაში და ნებისმიერი სტილითაც ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამერიკელებს სხვისთვის დაეთმოთ გამარჯვება. მეტიც, ისინი ჩვეულებრივ მსოფლიო ან ოლიმპიური რეკორდებით იმარჯვებენ.

მასპინძლებმა ეს ტრადიცია არც ამჯერად დაარღვიეს.

### რეკორდები, რეკორდები...

ამერიკელ ვაჟთა მიერ 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ნაჩვენები შედეგი ერთადერთი მსოფლიო რეკორდი როდი იყო, რომელიც ამ აუზში დამყარდა. პირველი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები ასპარეზობის პირველსავე დღეს დაიბადა. პირველი მსოფლიო რეკორდის ავტორი ბელგიელი ფრედ დებურგრევი, ვინც 100 მეტრზე ბრასის სტილით წინასწარ გაცურვაში ბარსელონაში დამყარებული ამერიკელ ნელსონ დაიბლის ოლიმპიური (1.01,50) და მომდევნო წელს შეფილდში უნგრელი კაროლ გუტლერის მსოფლიო რეკორდი (1.00.95) დაამხო, როცა ეს დისტანცია 1.00,60-ში გაცურა.

ამავე დისტანციაზე და ამავე სახეობაში ქალთა შორის სამხრეთაფრიკელმა პენელოპა ჰეინსმაც წინასწარ გაცურვაში იზეიმა წარმატება.

აქ წლევანდლამდე ორივე რეკორდის (1.07,95) ავტორი 1988 წლიდან გახლდათ ბულგარელი ტანია დანგალაკოვა, მაგრამ პენელოპა ჰეინსმა ამ გაზაფხულზე მას ჯერ მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა, როცა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში 1.07,46 აჩვენა, ახლა კი ატლანტაში დისტანცია 1.07,02-ში გაცურა, რითაც თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა და ბულგარელის ოლიმპიური რეკორდიც. პენელოპამ ამით არ მოისვენა და 200 მეტრზე იმავე სახეობაში კვლავ წინასწარ გაცურვაში გააუმჯობესა იაპონელი კიოკო ივასაკის ოლიმპიური რეკორდი (2.26,65), როცა ეს დისტანცია 2.26,63-ში გაცურა. მერე, ფინალურ გაცურვაში უკეთესი შედეგით (2.25,41) მოიპოვა მეორე ოქროს მედალი.

ატლანტაში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორი გახდა რუსი დენის პანკრატოვი. მან 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვის ფინალში თავისივე შარშანდელი მსოფლიო რეკორდი (52,32) გააუმჯობესა (52,27). ეს შედეგი, რა თქმა უნდა, ოლიმპიური რეკორდიც გახლავთ. ამგვარმა ძველმა რეკორდმა სულ რამდენიმე საათს გაძლო, რადგან დილით წინასწარ გაცურვაში ავსტრალიელმა სკოტ მილერმა სეულში დამყარებული ანტონი ჰესტის ოლიმპიური რეკორდი (53,00) გააუმჯობესა — 52,81. ჰესტმა ფინალში უფრო სწრაფად გაცურა დისტანცია (52,53), მაგრამ პანკრატოვმა მაინც აჯობა.

ატლანტაში დამყარებული ოლიმპიური რეკორდებიდან აღსანიშნავია 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში გამარჯვებული მსოფლიო რეკორდსმენის ჩინელი ლი ჯინგის შედეგი (54,50). იგი სულ რაღაც წამის მეასედით სჯობს მისივე თანაგუნდელის მიერ ბარსელონაში დამყარებულ ოლიმპიურ რეკორდს.

ოლიმპიური რეკორდით (3.39,29) გასრულდა ქალთა 4X100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ესტაფეტაც, სადაც ამერიკელებმა (ანჯელა მარტინო, ემი ვან დაიკენი, კატერინა ფოქსი, ჯენი თომპსონი) იმარჯვეს.

შედარებით დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ქალთა ნებისმიერი სტილით ესტაფეტაზე.

დასაწყისი იხ. „სარბიელის" წინა ნომერში

ეს სახეობა ქალებისთვის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ატლანტამდე არ იყო, მსოფლიო ჩემპიონატებზე კი ამ ათიოდე წლის წინათ გამოჩნდა. ამდენად, ატლანტაში მოასპარეზეებს ორიენტირად ჰქონდათ მხოლოდ მსოფლიო რეკორდი, რომელიც გდრ-ს წარმომადგენლებმა 1987 წელს სტრასბურგში დაამყარეს — 7.55,47, მაგრამ ეს შედეგი იმდენად მაღალი აღმოჩნდა, რომ მას დღემდე ვერავინ მიუახლოვდა.

ბუნებრივია, ამ სახეობაში პირველი ოლიმპიური რეკორდსმენი ის გახდებოდა, ვინც პირველსავე წინასწარ გაცურვაში გაიმარჯვებდა. ასეთი შანსი მიეცათ: იაპონელებს, ჰოლანდიელებს, ჩინელებს, ფრანგებს, შვეიცარიელებს, ბელარუსებსა და არგენტინელებს. ისინი ფინიშთანაც ამავე თანმიმდევრობით მიიჭრნენ. ასე რომ, ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები ერი იამანოი, ნაოკი იმოტო, აიკო მიუაკე და სუზე ჩიბა ცურვის ისტორიაში შევიდნენ როგორც ამ სახეობაში პირველი ოლიმპიური რეკორდსმენები — 8.09,46.

ამ რეკორდმა სულ რამდენიმე წუთს გაძლო, რადგან ამერიკელებმა ლიზა იაკობმა, ეშლი უიტნიმ, შეილა ტაორმინამ და ანეტ სალმინმა გააუმჯობესეს — 8.04,99. თუმცა, დიდი დღე არც ამ რეკორდს ეწერა, რადგან იმავე საღამოს ფინალურ გაცურვაში ამერიკელებმა იგი საკმაოდ დიდი ნახტომით გააუმჯობესეს — 7.59,87. ოღონდ ამ რეკორდის ავტორი სულ სხვა შემადგენლობის „კვარტეტი" გახდა: ტრინა ჯექსონი, კრისტინა თუშერი, შეილა ტაორმინა და ჯენი თომპსონი.

ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე სულ გაუმჯობესდა 14 ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 5 მსოფლიო რეკორდიც იყო (დამყარდა აგრეთვე სხვადასხვა კონტინენტის 27 და 282 ეროვნული რეკორდი).

კარგია თუ არა ეს?

ყველაფერი შედარებითია და თუ გავითვალისწინებთ, რომ აქამდე ოლიმპიურ თამაშებზე გაცილებით ხშირად უმჯობესდებოდა რეკორდები, მაშინ...

შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ბარსელონას ოლიმპიური თამაშები, სადაც მოცურავეებმა დაამყარეს 21 ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 9 მსოფლიოსიც იყო.

ისიც გავიხსენოთ, რომ შემორჩა მართლაც გვარიანად „დამტკვებული" ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები, მათ შორის, ბარსელონას ვინ ჩივის, სეულისა და მოსკოვის ოლიმპიადებზეც დამყარებულიც. არადა, მაშინ დაბადებული ბავშვები დღეს ატლანტაში საკმაოდ ბევრნი ასპარეზობდნენ და ზოგმა საპრიზო ადგილებიც დაიკავა. მაგრამ ვერც მათ და ვერც მათმა უფროსმა, გამოცდილმა კოლეგებმა 15-16 წლის წინანდელი რეკორდები ვერ გააუმჯობესეს.

ეს ყველაფერი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მოცურავეებმა თავიანთი შესაძლებლობების ზღვარს მიაღწიეს მაგრამ ისიც საკითხავია, სად არის ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი, რომელსაც ბოლო არ უჩანს. და თუ ეს ასეა, რაამ „დააბერა" ის რეკორდები, განსაკუთრებით 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში პეტრა შნაიდერის, ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები, პირველს 16, მეორეს კი 15 წელი რომ შესრულდება?

### დოპინგი წყალმა წაიღო?

იმ წლებში „ბოროტი ენები" ამბობდნენ, გდრ-ს მოცურავე ქალები დოპინგითა და მამაკაცური ჰორმონებით იჭყიპებიან, რისთვისაც მათ კაცების სპეციალური ბრიგადა ემსახურებაო. მერე ეს ხმები თავად გდრ-ს მოცურავე ქალებმა დაადასტურეს, როცა მათი ქვეყანა გაერთიანდა. ასე რომ, ალბათ არც პეტრა შნაიდერი გახლდათ გამონაკლისი. მით უმეტეს, რომ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე იმისთვის, რომ სოციალისტური ბანაკის სპორტსმენთა უპირატესობა დაემტკიცებინათ, შედეგების გასაუმჯობესებლად მათთვის ყველა მეთოდი ნებადართული იყო.

მერე და მერე დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლამ საკმაოდ კარგი ნაყოფი გამოიღო, თუმცა, ამ მებრძოლებმა საბოლოო გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწიეს. ამისი დასტური გახლდათ არაერთი გახმაურებული ამბავი, რომელთა შორის ჩინელ სპორტსმენთა, განსაკუთრებით მოცურავეთა შარშანწინდელი სკანდალი გამოირჩეოდა. მაშინ დოპინგის ხმარებაში ჩინელ მოცურავეთა ლამის ნახევარი ამხილეს და დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს. ზოგი ქვეყნის მოცურავეთა ფედერაცია უფრო შორს წავიდა და ჩინელთა გუნდის ატლანტაში გამოსვლის აკრძალვა მოითხოვა. მხილებას გადარჩენილ ჩინელ და სხვა ქვეყნის მოცურავეებს კი მართლაც მოსვენება დაუკარგეს შემოწმებებით, მაგრამ ეჭვები საბოლოოდ მაინც არ გაფანტულა. გაუთავებელი ეჭვებით ატლანტაში ამერიკელები გამოირჩეოდნენ. ასეთ ეჭვებს უმალ გამოთქვამდნენ, როცა ისინი ცურვის ამა თუ იმ სახეობაში დაგეგმილ გამარჯვებას ვერ აღწევდნენ. ასე მოიქცნენ მაშინაც, როცა 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ქალებში ჩინელმა ლი ჯინგუიმ გაიმარჯვა. საბრალო ჯინგუი ამდენი ეჭვებით ლამის ატირეს.

— შარშან შვიდჯერ შემამოწმეს, წლეულს, ექვს თვეში — ათჯერ. ახლაც, გამარჯვების მერე კვლავ ანალიზი აიღეს, მაგრამ დოპინგი ერთხელაც ვერ აღმოაჩინეს. რაღას მერჩით, რას მემართლებით — აღშფოთებული ამბობდა ლი ჯინგუი.

ირლანდიელი მიშელ სმითის მოულოდნელმა გამარჯვებებმა ხომ მთლად გადარია ამერიკელები. მართლაც, ეს ქალი ოლიმპიადამდე ფავორიტთა შორის კი არა, 40 უძლიერესს შორისაც არ იყო, ატლანტაში კი მოცურავეთა გმირი გახდა.

სმითი რომ რაღაც აკრძალულ პრეპარატებს არ ხმარობდეს, ახლა ვერაფრით გაიმარჯვებდა და მამაკაცივით ზორბაც არ იქნებოდაო (ეს ქალი მართლაც ძალზე მაღალია და თურმე 80 კილოგრამი ყოფილა), ეჭვობდნენ ამერიკელები. მერე სმითის მძლეოსანი ქმრის ცოდვებიც გაიხსენეს, ეს კაცი დოპინგს ეძალებოდა და ამ საქმეში ამხილეს კიდეც. ახლა კი ცოლიც აიყოლია, მით უმეტეს, თავადვე ავარჯიშებსო.

მაგრამ ჭორებისა და მითქმა-მოთქმის იქით საქმე არ წასულა და ატლანტაში დოპინგი ვერ აღმოუჩინეს მოცურავეებს. გაუთავებელმა შემოწმებებმა და მოსალოდნელმა ჩინელთა ბედის გაზიარებამ მოცურავეები, ეტყობა, გვარიანად დააფრთხო. იქნებ სწორედ ამითაც აიხსნება ის, რომ მოცურავეებმა ატლანტაში ჩვეულებრივზე ნაკლები ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები დაამყარეს.

რაღა გასაკვირია, რომ ცურვაში კარგა ხნის წინათ ჩამქრალ ვარსკვლავთა რამდენიმე შედეგი დღესაც თვალისმომჭრელად კაშკაშებს.

### რეზერვი — წყვილთვალში, ბრიტვასა და „სპიდოში"

დოპინგი შედეგების გაუმჯობესების ერთადერთი საშუალება როდია. გამარჯვებისთვის მოცურავეები სხვა ხერხებსაც მიმართავენ. ერთ-ერთი ასეთი ეშმაკობა სტარტის მერე წყალქვეშ ხანგრძლივი ცურვაა.

წყალქვეშ რომ კაცი უფრო სწრაფად ცურავს, ეს ყველაზე ადრე იაპონელებმა შეამჩნიეს. ჯერ კიდევ [illegible] წლებში იაპონელი ბრასისტები სტარტის მერე წყალქვეშ მაქსიმალურად შორს ცურავდნენ და იმარჯვებდნენ კიდეც. [illegible] ებს წყალქვეშ ხელებით ერთზე მეტი მოძრაობა აუკრძალეს.

ეს აკრძალვა დღემდე ძალაშია და მხოლოდ ბრასით ცურვის შეჯიბრების წესებში არსებობს, რადგან სხვა სახეობაში, როგორც არ უნდა მოინდომოს კაცმა, წყალქვეშ ხელებით ერთ მოძრაობასაც ვერანაირად ვერ გააკეთებს.

ამიტომაც ბატერფლაით მოცურავე რუსი დენის პანკრატოვი სხვა ეშმაკობას მიმართავს — სტარტის მერე წყალქვეშ მხოლოდ ფეხების და სხეულის მოძრაობით 30 მეტრამდე მიცურავს, რითაც საკმაო უპირატესობას აღწევს. პანკრატოვი მობრუნების მერე კიდევ 15 მეტრამდე ცურავს წყალქვეშ.

რა თქმა უნდა, ეს არც სხვებისთვის დაუშლია ვინმეს, მაგრამ პანკრატოვის მეტოქეები ამას ვერ ახერხებენ.

ამერიკელებმა რუსი მოცურავის წინააღმდეგ ოლიმპიადის წინ ბრძოლა წამოიწყეს. მოითხოვდნენ, ბატერფლაით წყალქვეშ ცურვის მანძილი შევამციროთ და დავაკანონოთო, მაგრამ ამ სახეობის ფედერაცია ამგვარ სანქციებს არ ეთანხმება. ალბათ იმიტომ, რომ წყალქვეშ დიდხანს ცურვა თუ ვინმეს ავნებს, ისევ თავად ამგვარად მოცურავეს.

საქმე ის არის, რომ წყალქვეშ ამგვარი ცურვა ფეხებისა და სხეულის მეტად ენერგიულ მოძრაობას მოითხოვს. ამ დროს სუნთქვის შეკავების გამო კუნთებს სწრაფად აკლდება ჟანგბადი, რაც მას ულონოს ხდის და საშინელ დაღლას იწვევს. პანკრატოვი ამ მხრივ გამონაკლისია.

შედეგების გასაუმჯობესებლად მოცურავეები, როგორც წესი, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, ქალებიცა და ვაჟებიც თავით ფეხებამდე გულმოდგინედ იპარსებიან, რადგან გაუპარსავი სხეული წყლის წინააღმდეგობას აწყდება, რაც სრიალს აუსტებს.

მოცურავეებს სრიალში ხელს უშლით თმაც ფურებიც. რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ფურებს არავინ მოიჭრის და ამიტომ მოცურავეები მათ რეზინის ელასტიურ და თავზე მჭიდროდ მორგებულ ქუდებში მალავენ. ამით თავის გადაპარსვის აუცილებლობაც გამორიცხულია.

რა თქმა უნდა, მოცურავეებს საცურაო კოსტიუმიც საკმაოდ ამძიმებთ. ამიტომ ისინი სულ უფრო მეტად შიშვლდებიან, მაგრამ ბოლო დროს მოცურავეებმა, ქალებმაც და ვაჟებმაც გაიხსენეს ოდინდელი საცურაო კოსტიუმები, რომლებიც სხეულს კისრიდან მუხლებამდე ფარავს.

მოცურავეთა საცურაო კოსტიუმების სახელგანთქმული ფირმა „სპიდოს" წარმომადგენლები ირწმუნებიან, ჩვენი ნახელავი მეტად ელასტიურია და წყლის წინააღმდეგობას მეტად ამცირებს, ვიდრე შიშველი სხეულიო.

ძნელი სათქმელია, როგორი თვისებები აქვს ამ კოსტიუმს, მაგრამ ის კი ნათელია, რომ იგი მეტად უშნო და შეუხედავია.

ოლიმპიადაზე ამგვარი კოსტიუმით გამოსვლა სულ რამდენიმემ გაბედა, მათ შორის იყო მიშელ სმითიც, რომელმაც ინდივიდუალურ სახეობებში ყველაზე მეტი — 3 ოქრო მოიპოვა, მაგრამ ღმერთმა უწყის, ეს ქალი ამ კოსტიუმს უნდა უმადლოდეს თავის ნადავლს თუ პირიქით — იქნებ ტრადიციული საცურაო კოსტიუმით რეკორდებიც დაემყარებინა.

ერთი რამ ნათელია. ამგვარ სამოს ეჭვის თვალით უყურებენ.



„სპიდოს" საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ფრანცისკა ვან ალმსიკი, ქრისტინა ეგერსეგი და მიშელ სმითი. ძნელი სათქმელია თუ რომელი კოსტიუმი უფრო სწრაფია, მაგრამ მათ ესტეთიკურ ღირებულებებს თავადვე შეაფასებთ.





დენის პანკრატოვის სტარტის მერე წყალქვეშ 25-30 მეტრს ცურავს, მობრუნებიდან კიდევ 15-20 მეტრს კვლავ წყალქვეშაა (ზედა სქემა), სხვები კი ჩვეულებრივ სტარტის მერე წყალქვეშ 10-15 მეტრს ცურავენ.

### ოქროდ დაბრუნებული ფული

ახლა ვნახოთ, მოცურავეთა შორის როგორი ძალთა განაწილებაა მსოფლიოში. ატლანტამდე ოლიმპიურ თამაშების ისტორიაში სულ 341 ოქროს მედალი განაწილდა. აქედან ყველაზე მეტი — 162 მოიპოვა აშშ-მა. შემდეგ მოდიან გდრ-სა და ავსტრალიის გუნდები. ატლანტაში აშშ-მ ამ ნადავლს კიდევ 13 ოქრო შემატა (სულ — 26 მედალი). ავსტრალიამ — 2 (12). გერმანია, რომლის მთავარ დამრტყმელ ძალას ყოფილი გდრ-ს მოცურავეები წარმოადგენდნენ, ატლანტაში „ოქროს" გარეშე დარჩა, თუმცა სულ 12 მედალი მოიპოვა.

ატლანტაში საბოლოოდ 19 ქვეყნის მოცურავეებმა მოიპოვეს მედლები. მათგან „ოქროს" 10 სახელმწიფოს წარმომადგენლები შეწვდნენ.

გაცილებით მეტი იყო მოსალოდნელი ჩინელებისგან, რომლებმაც ცურვაში თავისებური „ჩინური კედლის" აგება დაიწყეს, მაგრამ ამ სახეობაში მათი საუკეთესო სპორტსმენების დისკვალიფიკაციის გამო მშენებლობის ტემპი შემცირდა (ერთი ოქრო, სამი ვერცხლი, ექვსი ბრინჯაოს მედალი).

საინტერესოა, რომ ამ ოლიმპიადაზე აშშ-ს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული 101 მედლიდან მოცურავეთა წილად 43 მოდის. უნგრელებმა 21 მედლიდან 9 ცურვაში დაიმსახურეს. სამხრეთაფრიკელთა ხუთი მედლიდან სამი მოცურავეებმა მოიპოვეს. ირლანდიელთა ოთხი მედლიდან კი ოთხივე ერთადერთი მოცურავის ანგარიშზეა.

ეს ყველაფერი ბევრისმეტყველია.

ასე რომ, ყველაზე გონივრული ცურვის განვითარებაა. აუზში ჩაყრილი ფული წყალში გადაყრილი სულაც არ არის — იქიდან იგი ოქროდ ბრუნდება.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# რაგბი

ხუთი ერის

პირველობა აღდგა. ორშაბათს ინგლისმა ბევრი რამ დაუთმო დანარჩენ სამ ბრიტანულ ქვეყანას, გაისიდან მოკვეთას რომ უპირებდა. სახელდობრ, თვიქნემმა ივალდებულა, რომ მომავალში სხვების უკითხავად აღარ გაუმართავს მოლაპარაკებას სატელევიზიო კომპანიებს. გარდა ამისა, მედროქის „სქაისთან" დადებული 87,5 მილიონი გირვანქიანი კონტრაქტის გვარიან წილსაც შეანევს მეზობლებს.

ინგლისი — „სქაის" გარიგება არ შეცვლილა, რაც ერთობ უფორიაქებს სულს რიგითს ბრიტანელ რაგბის მოყვარულს, ამ ფასიანი არხის აბონენტი რომ ვერაა. თვიქნემელი რაგბის მამები ხალხს პპირდებიან, თამაშთა „გარკვეულ წილს" მუქთა ტელევიზიითაც იხილავთო, ოღონდ ჯერჯერობით არ დაუზუსტებიათ, მატჩები პირდაპირ გადაიცემა და გვარიანი დაგვიანებით.

სამ-ტესტა სერიაში სამხრეთი აფრიკის „ქურციკების" მძლეველ „ოლ ბლექსს" დიდი ამბით შეხვდნენ შინ, ახალ ზელანდიაში. ოქლენდის სკოლები და დაწესებულებები დაიხურა. ქუჩებში მთელი ქალაქი გამოეფინა და გუნდს საგანგებოდ გამოშვებული შავთეთრა ლენტები დააყარა. წინა ჯერზე ქალაქსა და ქვეყანაში ასეთი ზეიმი შარშან პქონდათ, აფროსნებმა ამერიკის თასი რომ მოიგეს.

წლევანდელი „ოლ ბლექსის" ერთბაშად სამი მოთამაშე — ჯონა ლომუ, მაიქლ ჯოუნზი და შონ ფითსპატრიქი მოხვდა მსოფლიოს ბოლო 25 წლის ნაკრებში, გაისად, სამხრეთ აფრიკაში მიმავალი „ბრიტანელი ლომების" მენეჯერ ფრენ ქოთონს რომ შეადგენინა „როზმანსმა", რომლის რაგბის წელიწადეულს ამ შემოდგომაზე დაარსების 25 წელი შეუსრულდა.

სიმბოლური თხუთმეტეულის მეოთხე მოქმედი წევრი ავსტრალიის „ვოლაბთა" კაპიტანი ჯონ ილზია. ისე კი, გუნდის სრული ჩამონათვალი ბევრს ვერაფერს ეტყვის გინდ განსწავლულ ქართველ მკითხველსა და გინდ უცხოური რაგბის ვიდეო-კასეტებით დამჭაშნიკებელს, რაკი იმ ხანად, ეს ხალხი რომ ბრწყინავდა, ჩვენებური გულშემატკივარი უცხოურ რაგბს ვერსად ნახავდა.

ქოთონის არჩევანი:

15 ჯ. პ. რ. ვილიამსი (უელსი); 14 ჯერალდ დევისი (უელსი), 13 დანი ჰერბერი (სამხ. აფრიკა), 12 მაიკ გიბსონი (ირლანდია), 11 ლომუ; 10 ფილ ბენეთი (უელსი), 9 გარეს ედვარდსი (უელსი)

1 რეი მაკლოჰლინი (ირლანდია), 2 ფითსპატრიქი, 3 გრემ პრაისი (უელსი); 4 გერი ვეთონი (ზელანდია), 5 ილზი; 6 იან კირკპატრიქი (ზელანდია), 7 ჯოუნზი, 8 მერვინ დევისი (უელსი)

სიაში 6 უელსელი და 5 ზელანდიელია, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და შოტლანდიიდან კი არავინაა.



ზელანდიაში განია პროვინციათა ჩემპიონატია. მას აქეთ, რაც ძირითადი ბირთვის აფრიკაში ყოლით დასუსტებულ ოქლენდს გარდამავალი „რანფერლის ფარი" წაართვა ნიუ-პლიმუთის თარანაქიმ, ამ გუნდმა ჯერ კი მოიგერია ტაკაპუნის ჩრდ.ნავსაყუდლის პრეტენზია (13:11), მაგრამ წინა უქმეებზე მაინც დამარცხდა პამილტონის ვაიქათოსთან 19 (14) (2ლ) : 40 (10) (4ლ) და ფარი მას გადააბარა.

## თვალში ნაცარი!

მორიგი სკანდალია ცურვის სამყაროში. გაირკვა, რომ ატლანტის ოლიმპიადაზე მივლენილი 22 უნგრელი მოცურავიდან ნახევარს ვერ შეუსრულებია საკვალიფიკაციო ნორმატივი, მაგრამ ამათ ფედერაციას ყალბი საბუთები გაუფორმებია. მათ თანახმად, ვითომც ივნისში გაუმართავთ შესარჩევი შეჯიბრება, რაც გარეშეებს ერთობ ეეჭვებათ.

უნგრელმა მოცურავეებმა ატლანტაში 6 მედალი, მათგან სამი ოქროსი მოიპოვეს. 200 მეტრზე კომპლექსურში გაიმარჯვა ატილა ჩენემ, ვინაც იქ დაუმსახურებლად მიუვლენიათ.

გადადგა ცურვის ეროვნული ფედერაციის თავკაცი ტამაშ დიარფაში. იგი ამტკიცებს, საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) ყველაფერი იცოდაო, რასაც კატეგორიულად უარყოფს ამისი თავკაცი კორნელ მარკულესკუ. დიარფაში მიამიტურად აცხადებს, ჩვენი მოცურავეების ძალა გვნამდა, ამიტომაც ზედმეტად აღარ შევაწუხეთ გამოცდითო. ისე კი, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სტიმულატორებით გაჭყეპილ თანამედროვე სპორტსმენებს ფორმის პიკის მალ-მალე მიღწევა უჭირთ. ამიტომ იყო, რომ უნგრელმა დიდმოხელეებმა თავისიანების ენერგია საოლიმპიადოდ გადაინახეს.

# ავტორბოლა

INDYCAR

## ინდიკარის მსოფლიო სერიალი

კვირას ლაგუნა-სეკას (კალიფორნია) 11 მოსახვევიანსა და 2,238-მილიან ტრასაზე ბოლო, XVI ეტაპი — „ბენკ ოფ ამერიკა 200" ჩატარდა და ალექს ზანარდის (იტალია, რჰ) გამარჯვებით დასრულდა. ჩემპიონის წოდება მისმა თანაგუნდელმა, 30 წლის ლას-ვეგასელმა ჯიმი ვასერმა მოიპოვა და მილიონი დოლარიც მიიღო.



# ვასერი ჩემპიონია

პარასკევს, კვალიფიკაციაში (ფორმულა 1-ისგან განსხვავებით აქ ორი საკვალიფიკაციო რბოლა ტარდება) ყველაზე სწრაფი ბრაიან პერტა (აშშ, რმ) იყო — 118,449 მილი-სთ, მეორე — ბრიტანელი მარკ ბლანდელი (რფ) 117,855 მილი-სთ, მესამე კი მაურიციო გუჟელმინი (ბრაზილია, რფ) — 117,653 მილი-სთ გახლდათ, ზანარდი მხოლოდ მეოთხე იყო — 117,629 მილი-სთ. ჩემპიონობის პრედენდენტები: ანდრეტი (აშშ, ლფ) 116,853 მილი-სთ და ანსერი (აშშ, პმ) 115,617 მე-11 და მე-19 ადგილებზე აღმოჩნდნენ. ანდრეტი ავტომობილის ცუდ დარეგულირებას უჩიოდა, ხოლო ანსერი კვალიფიკაციისას კრისტიან ფიტიპალდის (ბრაზილია, ლფ) შეეჯახა უკნიდან და შემდგომში შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლო.

შაბათს ზანარდიმ მოახერხა სეზონში მეექვსე პოულის მოპოვება: მან 118,475 მილი-სთ სიჩქარე განავითარა და პერტა მეორე ადგილზე დატოვა. გუჟელმინმა და ბლანდელმა, მართალია, თავიანთი შედეგები გააუმჯობესეს, მაგრამ მესამე-მეოთხე ადგილებს დასჯერდნენ. ვასერმა მე-5 ადგილიდან აიღო სტარტი, ანდრეტი კვლავ მე-11 იყო, ხოლო ანსერმა მოახერხა და მე-13 სასტარტო პოზიციაზე გადაინაცვლა.

რბოლის სტარტი ყველაზე უკეთ კვლავ ზანარდიმ აიღო და 27 წრე ლიდერობდა. 28-ე წრეზე პირველი პერტა იყო, ხოლო 29-ზე — ვასერი. 30-ე წრიდან ლიდერობა კვლავ ზანარდიმ ჩაიბარა.

რბოლა საკმაოდ მშვიდობიანად მიმდინარეობდა და ორგანიზატორებს მხოლოდ ორჯერ (სულ 10 წრით) მოუწიათ ყვითელი ალმების გამოფენა. მეორეჯერ ამის მიზეზი იუბილარი სტეფან იოჰანსონი (შვედეთი, რმ) გახლდათ, რომელმაც აქ 40 წლისთავი იზეიმა. შვედმა უეცრად უკანა ფრთა დაკარგა, რამდენჯერმე 360 გრადუსით შემოტრიალდა და საბურავების ბარიერს შეასკდა. საბედნიეროდ, პილოტს არაფერი დაშავებია და სხვის დაუხმარებლად ამოძვრა ნამსხვრევებიდან.

43-ე წრეზე პერტამ ზანარდის გადაასწრო და დაწინაურდა. რბოლის ბოლო წრე რომ დაიწყო, ბრაიანი კვლავ პირველი იყო და მისთვის თითქოს აღარაფერს უნდა შეეშალა ხელი პირველი გამარჯვების მოპოვებაში, მაგრამ ზანარდი ასე არ ფიქრობდა: ერთ-ერთ ყველაზე რთულ, ბრმა მოსახვევში, სადაც ტრასა თავქვე ეშვება და ჯერ მარჯვნივ, შემდეგ კი უეცრად მარცხნივ უხვევს, ლიდერს გაუთანაბრდა, მოსახვევში მარჯვნივ გაცურდა, ბორდიურს გადაევლო და ქვიშაზე აღმოჩნდა, მაგრამ ისე, სიჩქარე არ დაუკარგავს, კვლავ „გადააფრინდა" ბორდიურს და ტრასაზე პერტას წინ აღმოჩნდა, რომელმაც ამ მომენტს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „თუმც ალექსი უფრო სწრაფი იყო, მე მაინც არ მოველოდი ამას; გავვოცდი, როდესაც ჩემს გვერდით მის ბორბალს მოვკარი თვალი. საოცარი მანევრი იყო. პოდა, ვულოცავ ალექსს".

„ბოლო 15 წრის განმავლობაში მე უფრო სწრაფი ვიყავი. ვუცდიდი, როდის დაუშვებდა შეცდომას, მაგრამ პერტა ყურადღებით მართავდა მანქანას. ამიტომ თავად უნდა გამეკვირვებინა იგი. ვიცოდი, რომ ასეთი მოქმედება შესაძლებელია, მთავარი იყო, მას მოსახვევიდან გამოსვლისას არ გაესწრო ჩემთვის. ეს არ მოხდა და მეც ბედნიერი ვარ" — რბოლის შემდეგ განაცხადა გამარჯვებულმა, რომელმაც წლის ახალბედას ტიტულს ჩემპიონატის საბოლოო ჩათვლაში მესამე ადგილიც მიუმატა და ამისათვის 300 000 დოლარიც ჩაიჯიბა.

ვიცე-ჩემპიონის წოდება და 500 000 დოლარი ანდრეტიმ მოიპოვა, რომელმაც საბოლოო ჩათვლაში ზანარდის მხოლოდ გამარჯვებების რაოდენობით 5-3 აჯობა (ორივე პილოტმა 132 ქულა მოაგროვა) და რბოლის შემდეგ თანაგუნდელ კრისტიან ფიტიპალდის (ბრაზილია) მადლობა გადაუხადა, რადგან რბოლის ბოლოს ამ უკანასკნელმა გაატარა, მე-9 ადგილი დაუთმო და 4 ქულა მოაპოვებინა, რითაც ზანარდის გაუთანაბრდა. ტიტულის მესამე მაძიებელმა — ელ ანსერმა რბოლა მე-16 ადგილზე დაამთავრა და ჩემპიონატში მეოთხე ადგილს დასჯერდა. 1976 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მისმა გუნდმა — „პენსკემ" ვერცერთი გამარჯვება ვერ მოიპოვა.

ვასერმა საკმაოდ სტაბილურად ჩაატარა ჩემპიონატი: მხოლოდ ერთ რბოლაში ვერ მიიღო ჩასათვლელი ქულა; ამასთან, ოთხი გამარჯვება მოიპოვა. მშვენივრად იასპარეზა ალექს ზანარდიმ, ვინც სამი გამარჯვება და ყველაზე მეტი პოული — 6 მოუგროვდა. დებიუტის წელს მასავით აგრესიული თვით ვუნდერკინდი ჟაკ ვილნევიც კი არა ყოფილა.

XVI ეტაპის შედეგები:

1. ზანარდი (იტალია, რჰ); 2. პერტა (აშშ, რმ); 3. პრუეტი (აშშ, ლფ); 4. ვასერი (აშშ, რჰ); 5. გუჟელმინი (ბრაზილია, რფ); 6. მური (კანადა, რმ); 7. რაჰალი (აშშ, რმ); 8. მაგნუსენი (დანია, პმ); 9. ანდრეტი (აშშ, ლფ); 10. კ. ფიტიპალდი (ბრაზილია, ლფ); 11. ფერნანდესი (მექსიკა, ლჰ); 12. მორენო (ბრაზილია, ლფ)

ჩემპიონატის საბოლოო შედეგი:

1. ვასერი 154 ქულა; 2. ანდრეტი 132; 3. ზანარდი (დებიუტანტი) 132; 4. ანსერი 125; 5. კ. ფიტიპალდი 110; 6. დე ფერანი (ბრაზილია, რჰ) 102; 7. რაჰალი 102; 8. პერტა 87; 9-10. მური (დ) და პრუეტი 82

ალეკო ჭაბუკიანი

| შასი | | ძრავი | |
|---|---|---|---|
| პ — | პენსკე | ფ — | ფორდი |
| ლ — | ლოლა | მ — | მერსედესი |
| რ — | რეინარდი | ჰ — | ჰონდა |
| ი — | იგლი | ტ — | ტოიოტა |

ვერა და ვერ დაუბრუნდა სარბიელს გერმანელი ბორის ბეკერი, იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ რომ გასტანჯა მტკივანმა მაჯამ. დიდი ჩოგბურთელი ამ კვირაში ბუქარესტში მიმდინარე რუმინეთის ღია პირველობაზე პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ სამშაბათს, პირველსავე წრეში ნორვეგიელ კრისტიან რუდს რომ ეთამაშებოდა და პირველ ხელს 3:5 აგებდა, ტკივილმა სძლია და შეჯიბრზე ხელი აალებინა. ამდენი უქმობის გამო ბეკერი ატპ-ის კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა, წელს მოგროვილი პონორარებით კი ოდენ მეთხუთმეტეა.

# მძლეოსნობა

## გრან-პრის ფინალი

# ფული თუ სიქველე?!

საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) პრეზიდენტმა, დოქტორმა პრიმო ნებიოლომ იმდენი იჩალიჩა, რომ ფეხბურთზე გადარეულ მილანურ ვარდისფერ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტს", წელს დაარსებიდან 100 წელი რომ უსრულდება, მეტისმეტად წარმოაჩენინა იააფ-ის გრან-პრის ფინალი, შაბათს რომ გაიმართა ქალაქის „არენა ჩივიკაზე", რომელიც ჯერ კიდევ 1806 წელს აუშენებინებია თვით ნაპოლეონ ბონაპარტს და რომლის აღდგენასაც ლომბარდიის დედაქალაქის საბჭომ ერთი წელი მოანდომა.

ეს მცირე არენა ოდენ 13 500 მოსეირეს კი იტევს, მაგრამ უმასპინძლა უდიდეს შეჯიბრს, რომლის ჯამური საპრიზო ფონდიც სამ-მილიონ-ნახევარი დოლარი იყო. ცალკეულ სახეობაში ჯამური გამარჯვება 50 ათასი ღირდა, ვაჟთა და ქალთა აბსოლუტური პირველობა — 200-200 ათასი, მსოფლიო რეკორდის დამყარება კი — 100 ათასი. აქვე ვიტყვით, რომ ეს ვერავინ შეიძლო.

ვაჟთა აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ჯეელი კენიელი კომენი, ხოლო ქალთა — ვეტერანი შვედი ენკვისტი (ყოფილი ნაროჟილენკო). კომენს ატლანტაში არ უასპარეზია, ოლიმპიურ ჩემპიონ ენკვისტის გარდა კი მილანში ოლიმპიადის კიდევ 42 პრიზიორი შეიკრიბა.

მაიქლ ჯონსონმა (აშშ) 400 მეტრზე ზედიზედ 57-ე გამარჯვება მოიპოვა (44,53). 36 წლის ოთიმ ოლიმპიადის წაგებისათვის მორიგი სამაგიერო გადაუხადა ამერიკელ დივერსს. იამაიკელ ქალს სიბერეში სირბილის ტექნიკა შეუცვლია — დისტანციის საწყის მესამედზე თურმე ნაკლებ ნაბიჯსა დგამს, რისი მეშვეობითაც ფინიში უკეთესი გამოსდის. ამ სიახლის წყალობით იყო, რომ მერლინმა სეზონისა და კარიერის საუკეთესო შედეგი გაახერხა (10,74), მაგრამ მაინც ბევრად ჩამორჩება ამერიკელ ფლო გრიფითს-ჯოინერს, ვისაც მსოფლიო რეკორდის (10,49) გარდა ოთის დროზე უკეთესი კიდევ ოთხი შედეგი პქონია.

ვაჟთა სპრინტში მიჩელმა (9,91) ისევ დაამარცხა ატლანტის ჩემპიონი ბეილი (9,95). მანამდე მან ციურიხში, ბრიუსელსა და ბერლინშიც იმარჯვა, კომენმა (12.52, 38) კი 5 000 მეტრზე დაამარცხა მაროკოელი სალაჰ პისუ (12.54,83) და აბსოლუტურ ჩათვლაში გაუსწრო სამმხტომელ ედვარდსს, ვინაც ოლიმპიური მარცხისთვის რევანში კვლავ აიღო.

კომენმა იმ სალამოს 250 ათასი მოიხვეჭა. ამდენივე ერგო ენკვისტსაც (12,61). მან იოლად დაამარცხა ფრიმენი (12,69).



დანიელ კომენი ყველგან იმარჯვებს

გადასარევი შეჯიბრი გამოდგა 1 500 მეტრზე სირბილი. მაროკოელმა პიშამ ელგერუჟმა (3.38,80) ბოლო 100 მეტრზე მთლად დაიბრიყვა ლეგენდარული მორსელი (3.39,69), ვისაც ამ დისტანციასა და მილზეც 1992 წლიდან მოყოლებული ზედიზედ 55 ფინალი ერბინა დაუმარცხებლად. მორსელიმ ელგერუჟს ახალი თაობის მორბენალი უწოდა, თავი კი იმით იმართლა, ორი კვირა გრიპი მჭირდაო.

ნაშეჯიბრევს თავის მართლება სხვებსაც მოუწია. საქმე ისაა, რომ ნებიოლო და კომპანია საორშაბათოდ გეგმავდა დიდ ჰუმანიტარულ აქციას: ჩარტერული რეისით მილანის ფინალის მონაწილე ლამის მთელი თანავარსკვლავედი უნდა სწვეოდა ბოსნიის იავარქმნილ დედაქალაქ სარაევოს და იქ „სოლიდარობის შეჯიბრში" მუქთად ეასპარეზა.

ქალაქი მტარვალ სერბებს 43 თვის მანძილზე ალყაში პყავდათ. მუდმივი საარტილერიო დაყუმბარების შედეგად კოსევოს სტადიონი და ზეტრას სპორტ-კომპლექსი დაინგრა, მათ გარშემო კი სამი სასაფლაო გაშენდა, მაგრამ მას აქეთ, რაც ამ ცხრა თვის წინ ზავი ჩამოვარდა, სტადიონი ალაშენეს.

ფულს დახარბებულ ვარსკვლავებს ჭკუაში არ დაუჯდათ უფულოდ ასპარეზობა. მორსელიმ, ვინაც სხვებს იქ წასვლას მოუწოდებდა, ისევ გრიპი გაიხსენა. ჯონსონი ეთათბირა აშშ-ის ბოსნიურ საელჩოს და მავან ნაცნობებს და დაასკვნა, რომ ამ ქალაქში შეჯიბრი სახიფაო იქნებოდა. იგივე ჭკუაზე დადგა მიჩელი, ედვარდსმა კი შეიცხადა, საიდან დაასკვენით, რომ იქ გამგზავრებას ვაპირებდიო. ბოლოს ისე მოხდა, რომ თვითმფრინავის გაფრენა ორი საათით დაგვიანდა, ბევრ სახეობაში კი შეჯიბრი საერთოდაც ჩაიშალა. ამის გამო ნებიოლომ განაცხადა, ჩვენი ვარსკვლავები ლაჩრები ყოფილანო!

კომენი, ენკვისტი, ელგერუჟი ამ კატეგორიაში არ მოხვდნენ. ლუდმილამ აქაც გაიმარჯვა და კიდეც გამოტყდა, ქალაქის ნანგრევები რომ დავინახე, ავტირდიო. ელგერუჟმა 1 500 მეტრზე დაამარცხა კომენი, ნიგერიელმა ქალმა ჩიომა აჯუნვამ კი სიგრძეზე ხტომაც მოიგო და 100 მეტრზე სირბილიც.

და მაინც, უფრო გასაკვირი ის იყო, რომ თავად ქალაქის მცხოვრებნი თუმც მრავლად, 50 ათასამდე მოგროვდნენ, მეტწილად მდუმარედ ისხდნენ და შეჯიბრის დასრულებას არც დალოდებიან, ისე მიმოიფანტნენ.

### გრან-პრის საბოლოო ცხრილები

ვაჟები: დანიელ კომენი (კენია, 5000) 103 ქულა; ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი, სამხტომი) 99; დენის მიჩელი (აშშ, 100) 95; ნურადინ მორსელი (ალჟირი, 83) 93; დერიქ ადქინსი (აშშ, 400 თარჯრბენი) 91; სამუელ მატეტე (ზამბია, 400 თარჯ) 90; დონოვან ბეილი (კანადა, 100) 85; მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი, ჭოკი) 79,5; იგორ ასტაპკოვიჩი (ბელარუსი) და ბალაშ კიში (უნგრეთი) (ორივე — ურო) 77-77

ქალები: ლუდმილა ენკვისტი (შვედეთი, 100 თარჯ) 93; მერლინ ოთი (იამაიკა, 100); მიშელ ფრიმენი (იამაიკა, 100 თარჯ) 85; ფალილათ ოგუნკოია (ნიგერია, 400) 83; ინესა კრავეცი (უკრაინა, სიგრძე) 80; ოქსანა ოვჩინიკოვა (რუსეთი, შუბი) 78; ილკე ვილუდა (გერმანია, ბადრო) 76; ქეთი ფრიმენი (ავსტრალია, 400) 75; დანია დამასკე (გერმანია, შუბი) 72; პოლინ დევისი (ბაჰამები, 400) 71

# ველოსპორტი

## საათიანობა და ...



ბორდმენი რეკორდს ამყარებს

მსოფლიო ჩემპიონატზე 4 კილომეტრზე დევნის მსოფლიო რეკორდის ორგზის გაუმჯობესების შემდეგ 28 წლის ბრიტანელმა ქრის ბორდმენმა პარასკევს შეუტია საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდსაც, რომელიც უწინ, 1993 წელს, ბორდოს ველოდრომზე ერთხელ უკვე დაემყარებინა, მაგრამ იგი მას უკან გაეუმჯობესებინათ ბრიტანელსავე გრემ ობრის, ესპანელ მიგელ ინდურაინსა და შვეიცარიელ ტონი რომინგერს. სწორედ ამის, 1994 წლისეულ, ბორდოში დაფიქსირებულ შედეგზე მიიტანა იერიში ბორდმენმა, რომელიც ველოსიპედზე ობრის მიერ გამოგონილ „სუპერ-მენის" ყაიდაზე ზის.

მსოფლიო პირველობის არენაზე — მანჩესტერის ველოდრომზე შეკრებილი საზოგადოება მრბოლს ქომაგობით ერთობ მიეხმარა. დიდი ტაბლოდან ცხადი იყო, რომ რომინგერის სარეკორდო გრაფიკის 20-კილომეტრა ნიშნულს ბორდმენმა 20 წამით ადრე უწია, 40 კმ კი შვეიცარიელზე 45 წამით ადრე გალია. საბოლოოდ ქრისმა პირველმა გადალახა 56 კმ-ის მიჯნა. მისი შედეგია 56 375 მეტრი, ძველი რეკორდი კი 55 291 მეტრს უდრიდა.

უნივერსალი ბორდმენი ამ ამბავში რომ იყო, საგზატკეცილო ველოსპორტის ელიტა შაბათს, 7 სექტემბერს წლის ბოლო დიდ ველოტურში — ესპანურ „ვუელტაში" ჩაება. პირველი, 11-მილიანი ეტაპი, ვალენსიაში რომ დაიწყო და იქვე დასრულდა, სპრინტში მოიგო იტალიელმა ბიაჯო კონტემ. მსაჯებს გამარჯვებულის გამოსავლენად კარგა ხნის მსჯელობა და ჩანაწერის ანალიზი დასჭირდათ.

შარშანდელმა გამარჯვებულმა, ფრანგმა ლორან ჟალაბერმა (ონსე) კონტესთან 16 წამი წააგო, მაგრამ ორშაბათს, ქარში რომ მოიგო 127-მილა მესამე ეტაპი (კუენკა — ალბასეტე), თავად დაწინაურდა. სამშაბათს, 103-მილა მეოთხე ეტაპზე (ალბასეტე — მურსია) გაიმარჯვა ბელგიელმა თომ სტეელსმა (მაპეი), თუმც კი ჟალაბერსაც იგივე დრო აღმოაჩნდა.

ოთხი ეტაპის ჯამში ჟალაბერი 4 წამს უგებდა იტალიელ ფაბიო ბალდატოს (ტექნოჯიმი), 8 წამს — იტალიელსავე ჯოვანი ლომბარდის (პოლტი). დიდი ინდურაინი (ბანესტო), ვინაც ძალისძალად ჩააბეს შეჯიბრში, ჯერ არა ბრწყინავს.

22-ეტაპა ტური 29 სექტემბერს დასრულდება.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29